სპორტიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 ივლისი 2006 №172 (2794) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევანში ერევანში *

ფოტოგადაღებულ ალექსანდრ ალფაროვი

იყავი მუდამ ამერიკელი!

* ერთხელაც იყო და არაერთხელაც: თბილისურ „დინამომ" ერევანში „არარატს" მოუგო. საქართველოში ყველაზე პოპულარულ გაზეთში, რა თქმა უნდა, სპორტულში, დაიბეჭდა წერილი სათაურით „რევანში ერევანში". და ააღრინა მაშინ საქართველოს ჯერ ცეკ პირველმა მდივანმა იდეოლოგიური ნაგაზი – აგიტპროპი, ეს სათაური ერთა შორის შეღლს აღვივებსო. ამ ყოველივეს „ლელოს" მაშინდელი რედაქტორი მიხეილ ჯაჯაბაძე შეეწირა. ასე უნდოდა ახლაც ცოცხალ მაშინდელ პირველს და იმიტომ. არადა, რა შუაში ან ერი ან შეღლი, თბილისურ-ერევნული თამაში ყოველთვის საინტერესო იყო და ღმერთმა ქნას, ასეც გაგრძელდეს. გუშინდელიც ძველ ქართულ-სომხური გამეორება იყო და ეს სათაურიც ძველი უსამართლობის გამოსარჩლებად მიიღეთ. გუშინ ჯი თბილისის „ამერმა" ერევნის „ბანანცს" შინ წაგებული 0:1 სტუმრად შეუტრიალა და დღეს უეფას თასზე მომდევნო მეტოქეს ელის.

კენჭისყრა კენჭის გავლამდე
უეფა ჯერ თავს მიხედავს, მერე მილანს

დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ევროთასების კენჭისყრა მოეწყობა. საქართველოს დროით 14 საათზე ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა შედგება. გაირკვევა 16 წყვილი, რომელთა მატჩები 8-9 და 22-23 აგვისტოს გაიმართება. გამარჯვებული 16 „ნამდვილ ლიგაში" ანუ შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპზე გავა. შეგახსენებთ, რომ კიდევ 16-ს პირდაპირ აქვს იქ ადგილი დაჯავშნული.

ამ ამბიდან საათნახევარში კი ნიონელები უეფას თასის მეორე რაუნდის წყვილებსაც დაალაგებენ. პირველი რაუნდიდან გასულ 35 გუნდს კალათებში კიდევ 29 მიემატება. ამ 29-ს შორის 11 ინტერტოტოს თასიდანაა. შეხვედრები გაიმართება 10 და 24 აგვისტოს. გამარჯვებული 32 მოხვდება ახალ, ასევე ორწრიან ეტაპზე — მატჩები გაიმართება 14 და 28 სექტემბერს — სადაც მათთან ერთად ითამაშებს 48 ახალი გუნდი და ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპიდან გამოვარდნილი 16. აი, აქ გამარჯვებულთაგან კი უკვე უეფას თასის ჯგუფები შედგება.

და იტალიური კლუბები? გუშინ გამართული უეფას საგანგებო კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ ევროპული ფეხბურთის გამგებლებს დღევანდელი მდგომარეობა არ აკმაყოფილებთ და დამატებითი ცნობების მოძიება სჭირდებათ ანუ ითამაშებს თუ არა „მილანი" ჩემპიონთა ლიგაში. 2 აგვისტოს ვაირკვევა. მიზეზი საყოველთაოდაა ცნობილი — კალჩოპოლი, რომლის გამოც აქ ვრცლად აღარ შეგაწყენთ თავს. სხვა საქმეა, რომ „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპის კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ დაუშვებენ შეჯიბრებაში თუ არა, როგორც მოგახსენეთ, თავადვე — აგვისტოს გაიგებს. უარის შემთხვევაში, მის სავარაუდო შემცვლელზე არაფერი თქმულა.

გადაიჭრა:
ვისთვის საკითხი, ვისთვის ფეხბურთი

როგორც იქნა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა დაადგინეს — გადაწყვეტილება გუშინ, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე გამოცხადდა — უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი ითამაშებს — უფულობის გამო უმაღლესი ლიგიდან „ცხინვალი" და ფოთის „კოლხეთი" მოიკვეთნენ.

სათუო იყო უმაღლეს ლიგაში გორის „დილას" მონაწილეობა, რომელმაც წინა სეზონის დასრულებიდან დაახლოებით ორთვენახევარში ფინანსური სახსარი ვერ გამოძებნა, გუშინ კი თურმე საგარანტიო წერილი წარუდგენია ფეხბურთის ფედერაციაში. ბევრი გუნდი გვინახავს, მსგავსი ფურცელი რომ მიურბენინებია ფედერაციაში და მერე ჩემპიონატი გაძვალტყავებულს ჩაუმთავრებია. ვნახოთ, იქნებ ეს გორის „დილა" ასეთი არ აღმოჩნდეს...

უეფას თასი 2006-2007

UEFA CUP

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ბანანცი, მე ვრაცი! ღმერთმა ორივეს გაგვიმარჯოს

ერევანი. 27 ივლისი. 18 საათი. რესპუბლიკური. 3 000 მაყურებელი

ბანანცი 1:2 *ამერი* (1:0)

1:0 ტადევოსიანი (38), 1:1 წინამძღვრიშვილი (60), 1:2 დობროვოლსკი (62)	
ბანანცი: რადაჩა, სიმონიანი, ჩერევკო, გრიგორიანი (აირაპეტიანი 62), სიზიხინი (მურადიანი 76), მელქონიანი, ჯენებიანი, არაქელიანი, სარქისიანი (ოსეიანი 85), აკოფიანი, ტადევოსიანი მწვრთნელი: ნიკოლაი კისელიოვი	ამერი: ქვაჩახია, ჩიკვილაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე (მჭედლიშვილი 73), დობროვოლსკი (გაბისკირია 81), ბოლქვაძე, დეკანოსიძე, დავითაშვილი (ტატანაშვილი 73), წინამძღვრიშვილი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
გაფრთხილება: დავითნიძე (25), ჯენებიანი (33), არაქელიანი (53), აკოფიანი (78), ტატანაშვილი (80), წინამძღვრიშვილი (90)	
გაძევება: არაქელიანი (90)	
მსაჯი: ხრისტო რისტოსკოვი (ბულგარეთი)	
უეფას დელეგატი: ნიკოლაე გრიგორესკუ (რუმინეთი)	

წინამძღვრიშვილი: ევროხელშეკრულება რატიფიცირებულია!

დობროვოლსკი: დენის დარტყმა სასიკვდილოა!

გიორგი დარჯანია ერევნიდან

მატჩის წინ „ბანანცი" ყველანაირად შეეცადა, გულშემატკივრებისთვის ზეიმი მოეწყო. ხალხის მოსაზიდად „რესპუბლიკურზე" შესვლა უფასო იყო და დროშებიც ბლომად ფრიალებდა. ბუნებრივია, მასპინძელთა ამგვარი განწყობა თბილისური მატჩის შედეგით იყო განპირობებული, რომელმაც ფავორიტად „ბანანცი" აქცია.

შესვენებისას საზეიმო განწყობა კიდევ უფრო საზეიმო იყო: ამ დროისთვის „ბანანცს" თბილისიდან წაღებული გოლისთვის ერევნულიც მიმატებული ჰქონდა და ორმაგად არხეინად იყო.

იმავ შესვენებისას „ამერის" გასახდელს სომხეთში საქართველოს ელჩი ესტუმრა და ბიჭები გაამხნევა. ჩიხრაძემ კი ფეხბურთელებს უთხრა, რომ ასეც და ისეც ორი გოლი სჭირდებოდათ.

მატჩი რომ დასრულდა, მაყურებლებმა გვირაბისკენ მიმავალ ბანანცელებს აგინეს, ბანანცელებმა ზურგი დაუბრუნეს.

„ბანანცის" მერე გვირაბისკენ ამერელები გაეშურნენ და იმავე მაყურებლებმა „ამერი" ტაშით გააცილეს, სომეხმა ჟურნალისტებმა კი პრესკონფერენციაზე დამარცხებული მწვრთნელი არ დაინდეს და კითხვები მკვახედ დაუსვეს.

ეს რაც შეეხება განწყობას, თამაში კი...

თამაშზე ნაღდად ვერ ვიტყვით, ამისთანა ჯერ არ გვინახავსო, მაგრამ თბილისურ თამაშს რომ ჯობდა, ფაქტია.

თბილისური მატჩის შედეგიდან გამომდინარე, უფრო მეტი „ამერს" უნდა შეეტია, „ბანანცს" კი თავი დაეცვა და კონტრიერიშებით ეჩხვლიტა.

თავიდან ორი მომენტი ამერელებისა იყო, გრიგოლ დოლიძის კარის გასწვრივ ჩაწოდებულს რატი წინამძღვრიშვილმა ვერ მიუსწრო. მერე დავით ბოლქვაძის დარტყმული სომეხთა მეკარემ ძალიან ცუდად დაიგდო წინ და რატიმ მეორედ ვერ ითამაშა დასწრებაზე.

გამოუყენებელი მომენტების მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, „ამერის" იერიშები განელდა, ამას მასპინძლებმაც ორი შეტევით უპასუხეს: არამ აკობიანს ჯერ ზურაბ ქვაჩახიამ არ დაანება გატანა, მერე კი გიორგი ელბაქიძემ დაუფარა.

სომხური გოლი კი მაინც გავიდა. ვაჰე ტადევოსიანი, ვინაც „ამერს" თბილისშიც გაუტანა, ახლაც ცივსისხლიანი იყო: უმეთვალყურეოდ დარჩენილს ბურთი თავზე ზუსტად დააჯდა და შანსს როგორ არ გამოიყენებდა...

„ამერს" პირველ ტაიმშივე ჰქონდა გათანაბრების საუკეთესო შანსი, მაგრამ წინამძღვრიშვილმა ამ ჯერზე სულიკო დავითაშვილის პასი ვერ გამოიყენა და მეკარის ბაქნიდან ააცალა.

და მაინც: „ამერის" ისტორიაში პირველი საევროთასო გოლის ავტორი რატი წინამძღვრიშვილი გახდა! ოღონდ სადაც სამართალია, გარჯა გიორგი ელბაქიძესაც არ უნდა დავუკარგოთ — მისი ჟინი და მეტოქისთვის ბურთის ასართმევად ბოლომდე ბრძოლა რომ არა, რატი იმ ბურთს ვერ მიიღებდა, მეურვეს ვერ გასცდებოდა და ვერ გაიტანდა.

ეს გოლი ფრიად საწყენი კი იყო ერევნელებისთვის, მაგრამ დამღუპველი არ ყოფილა. დამღუპველი გოლი ერთ წუთში გავიდა, როცა დენის დობროვოლსკის შორიდან დარტყმული რაღაც უცნაური ტრაექტორიით შეფრინდა რადაჩას კარში. ესეც ბედის საჩუქარი: გამარჯვების გოლი გაიტანა ფეხბურთელმა, რომელსაც ოფიციალურ მატჩებში გოლი აქამდე არასდროს გაუტანია.

...დღეს წილისყრაა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე:
გიორგი ჩიხრაძეს ეთქმოდა, ნიკოლაი კისელიოვს კი–

უეფას თასი 2006-2007

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი



დავით ლომაიას თავური და პირველი გოლი „არტმედიას“ კარში

არ ახსენოთ ყარაული: ვიტ ჯორჯიამ თავისი თოფი ისროლა

გამოცდილება, გამოცდილება...

თბილისი. 27 ივლისი. 18 საათი. მიხეილ მესხი. 2000 (ტევადობა 25 600)

ვიტ ჯორჯია 2:1 *არტმედია* (0:2)

1:0 ლომაია (44), 1:1 ჰალენარი (49), 2:1 რაზმაძე (87 პ)

ვიტ ჯორჯია	არტმედია
ბედიაშვილი, ბ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, გველესიანი, დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (რაზმაძე 71), გ. დათუნაიშვილი, ღუჭაშვილი (ბეჭვაია 80), გელაშვილი (ბერიაშვილი 73), სახოკია	კოლარი, დებნარი, ჰალენარი, ჩური, ორავეცი, ჩიშოვსკი, ბურიანი (მრაზი 81), კონეჩნი, ბურაკი, კოზაკი, კუბალა (გაიდოში 61)
სათადარიგონი: მიქაბერიძე; ჯადარიძე, ადამიძე, კვაღინაძე	*სათადარიგონი:* კამენარი; სალატა, ჰანტაკი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე	**მწვრთნელი:** იოზეფ ადამეცი

გაფრთხილება: ბურაკი (23), გ. დათუნაშვილი (26), სახოკია (29), გველესიანი (45), ბურიანი (55), ჰალენარი (66), გელაშვილი (73)

მსაჯი: ი. ცაჰელიდისი (საბერძნეთი)

ილია ნანობაშვილი

ბოლო წლებია, ქართულ ფეხბურთს ჰატარა კაცის სინდრომი მოეჭარბა — მოლდოვის და კვიპროსის კლუბებიც რომ შეგვხვდნენ, დედა, ამათ რა გაუძლებსო, ასე გამოვიტირებთ ხოლმე ქართულ გუნდებს...

გუშინ „ვიტ ჯორჯია“ დაემშვიდობა ევროსარბიელს, მაგრამ რაღაც სხვანაირი გრძნობით დავტოვეთ სტადიონი: ჯერ ერთი, ვიტელებმა ქართველ გულშემატკივრებს „ვისლასთან“ 2:8 მარცხი დაავიწყეს. იმ კოშმარული წაგებით, რა დასამალია და, ამ კლუბს გვარიანად შელახა სახელი ქომაგებში. მეორეც ის, რომ ნესტორ მუმლაძის გუნდმა მოიგო — მოიგო 2:1, მაგრამ უფრო მეტიც შეეძლო, მოიგო ლაღად და იღბალიც რომ წახმარებოდა, ვინძლო, ბრატისლავაში წაგებული 0:2 გადაეფარა — მოკლედ, ეს ის „ვიტ ჯორჯია“ არ იყო, შარშან უნგრეთის სუსტ „ლომბარდ პაპა“-თან“ ორივე თამაში რომ წააგო.

...თაკარა მზემ თამაშზე იმოქმედა: ტემპი დაბალი იყო, მაგრამ ორთაბრძოლები, იცოცხლეთ: მსაჯმა პირველი ტაიმის ექვსწუთიან მონაკვეთში სამჯერ ააფრიალა ყვითელი ბარათი.

ნესტორ მუმლაძემ 4-3-3 აირჩია, თუმცა „ვიტ ჯორჯიას“ თამაში უფრო შემტევი იყო, ვიდრე ამას სქემა გამოხატავდა: ცენტრალური ნახევარმცველები გიორგი დათუნაიშვილი და დავით დიღმელაშვილი უფრო იერიშებზე იყვნენ გადართულნი, ზაზა სახოკიამ და გიორგი ფეიქრიშვილმაც ფლანგებზე აშკარად აჯობეს სლოვაკებს.

პირველ წუთებში სახოკიას ახლო კუთხეში დარტყმული იყო გამოსარჩევი, „არტმედიას“ მეკარე სტეფან კოლარმა ძლივს რომ გააშეშა ბურთი ხელებში. მერე ტემპმა გვარიანად დაიკლო და მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთებში მოიმატა. უფრო სწორად, ვიტელებმა მოუმატეს და ლამის ცალკარა გააჩაღეს: ჯერ გიორგი დათუნაიშვილმა ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან, მერე კი...

44-ე წუთზე ფეიქრიშვილის ნაკუთხურალზე ყველაზე მაღლა დავით ლომაია ახტა და აუღებელი თავური დაარტყა — 1:0. შანსი არის! თურმე სულაც არ ყოფილა „არტმედია“ გაუტეხელი გუნდი.

თუმცა მეორე ნახევრის დებიუტშივე ბრატისლაველებმა ერთი გასროლით ჩაკლეს ინტრიგა — იურაი ჰალენარმა ოდნავ მახვილი კუთხიდან კოხტა საჯარიმო შეასრულა და 1:1.

„ვიტ ჯორჯია“ სამის გამტანი არ იყო. მაგრამ უწყინარ მომენტშიც გაშვებულმა გოლმა გააშლეგა და წუთში ორჯერ შეეძლო დაწინაურება: ჯერ ვიორგი დათუნაიშვილის ბრწყინვალე დარტყმული კოლარმა, რომ იტყვიან, ვეფხვისებური ნახტომით უკუაგდო კუთხურზე, მერე კი ნიკა გელაშვილის ჰასის შემდეგ სახოკიამ სამიოდ მეტრიდან დააყოვნა ბურთისთვის ფეხის წაკვრა — ურეალურესი მომენტი იყო.

ეს იყო და, „არტმედია“ დაცვაში გამაგრდა, შეტევებს მოლად მოუშვა, მუმლაძემ ჯერ ნაკლებად აქტიური ვასილ ღუჭაშვილი, მერე კი გელაშვილი გამოცვალა, თუმცა გამარჯვების გოლი ფეიქრიშვილის ნაცვლად შესულმა ლუკა რაზმაძემ გამოიარხა: 87-ე წუთ[illegible] რაზმაძეს სლოვაკმა მცველმა [illegible]ურაზე დაქაჩა და პენალტი თავად [illegible]უკამ შეასრულა — 2:1.

სხ[illegible] თვალით თუ ვინმე დაინახავს, [illegible] ვიცი, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ მოგება ყარაულის თოფის გავარდნას არ ჰგავდა. გამართლებოდა მუმლაძის გუნდს კენჭისყრისას, „არტმედიაზე“ ოდნავ სუსტი მეტოქე შეხვედროდა და...

პრესკონფერენცია

იოზეფ ადამეცი: ძნელი მატჩი გვქონდა. თამაში არ გავხსენით და შედეგზე ვითამაშეთ, ამ ეტაპზე კი მთავარი სწორედ ეს იყო. გასული სეზონის შემდეგ „არტმედიადან“ ცხრა ფეხბურთელი წავიდა და, ცხადია, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. „ვიტ ჯორჯია“ ძალიან კარგი გუნდია, განსაკუთრებით კი ლომაიას, სახოკიას, ღუჭაშვილსა და დიღმელაშვილს გამოვარჩევდი.

ნესტორ მუმლაძე: ძლიერ გუნდთან გავვარდით, პირველ რიგში, გამოცდილებით გვაჯობეს. „არტმედიამ“ ბრატისლავაშიც ასე ითამაშა, ოღონდ ცოტა მეტს უტევდა, აქ კი ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნაედა. ჩვენ სტუმრადაც შეგვეძლო გოლის გატანა და დღესაც დასანანი ბურთი რომ არ გაგვეშვა, არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა თამაშის სცენარი.

იურაი ჰალენარის გოლმა ინტრიგა ჩაქლა



ლუკა რაზმაძის პენალტი: ბურთი იქით, შტეფან კოლარი აქეთ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა

ამპუტაცია
ხელმოკლე ქართული ფეხბურთი უფრო და უფრო მოკლდება

დიმიტრი რამიშვილი

რევაზ არველაძე

გოგი ქავთარაძე

მაშ ასე: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა თექვსმეტიდან თოთხმეტ გუნდამდე შემცირდა. ბევრი მცდელობის, ბევრი შფოთისა და ნერვიულობის, იმედიანი მოლოდინის მიუხედავად, ფოთის „კოლხეთმა" და „ცხინვალმა" ვერაფრით მოახერხეს უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ მინიმალური პირობების დაკმაყოფილება და ფეხბურთის ფედერაციისგან და პროფლიგისგან ადეკვატური პასუხი მიიღეს — ისინი წლეულს უძლიერესთა შორის ველარ ითამაშებენ, თუმცა იმავ ფედერაციისა და პროფლიგის კეთილი ნებით, ამ გუნდებს კიდევ ექნებათ საშუალება, რომ ორი კაპიკის შოვნის შემთხვევაში პირველ ლიგაში მაინც ითამაშონ. ეს გადაწყვეტილება პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და ფედერაციის ვიცე პრეზიდენტებმა რევაზ არველაძემ და გოგი ქავთარაძემ გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს

დიმიტრი რამიშვილი: მოგეხსენებათ, 25 ივლისს ფედერაციის აღმასკომის სხდომა ჩატარდა და გუნდების მდგომარეობის შემსწავლელი სარევიზიო კომისიის დასკვნა მოვისმინეთ. მაშინაც ითქვა, რომ უმაღლესი ლიგის სამი გუნდი — „ცხინვალი", „დილა" და „კოლხეთი" — ლიგაში სათამაშოდ ელემენტარულ პირობებს ვერ აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, ამ გუნდებს ორდღიანი ვადა კიდევ მივეცით მინიმალური ფინანსური გარანტიების წარმოსადგენად, მაგრამ... ფაქტობრივად, დღესაც იგივე სურათი გვაქვს და ამიტომაც მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება: „ცხინვალი" და „კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებენ, ხოლო „დილამ" ბოლო მომენტში მოასწრო საგარანტიო წერილის მოტანა და ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩა. მოკლედ, წლეულს უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი ითამაშებს. ბუნებრივია, გუნდების მოკლებით ლიგაში თამაშების რაოდენობაც შემცირდა, თუმცა ეს დანაკლისი თასის გათამაშების ახალი ფორმატით ანაზღაურდება და გუნდებს თამაშები არ მოაკლდებათ. თასის ახალი გათამაშება ჯგუფური სისტემით ჩატარდება.

რევაზ არველაძე: ის პირობები, რომლებიც უმაღლესი ლიგის კლუბებს შევთავაზეთ, სალიცენზიო პირობებისგან განსხვავებული იყო და საძნელო საქმეს არ წარმოადგენდა. ჩვენ მინიმალური მოთხოვნები გვქონდა, მაგრამ ამ გუნდებმა ესეც ვერ დააკმაყოფილეს. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ კლუბებს ასე უჭირთ და უმაღლეს ლიგაში თამაშს ვერ ახერხებენ. თუმცა ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. ჩემპიონატს თავის სახე უნდა ჰქონდეს და თუ წლეულს პრინციპულები არ ვიქნებოდით, მომავალშიც იგივე განმეორდებოდა. ფედერაცია და პროფლიგა ეროვნული ჩემპიონატის პრესტიჟს უფრთხილდებიან და განვითარების თვალსაზრისით ასეთი გადაწყვეტილება აუცილებელიც იყო.

გოგი ქავთარაძე: ტრაგიკული არაფერი მომხდარა, თუმცა, თავისთავად, საწყენია, რომ „კოლხეთმა" და „ცხინვალმა" მინიმალური პირობების დაკმაყოფილებაც ვერ შეძლეს. მათ უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ არანაირი ფინანსური საშუალება არ აღმოაჩნდათ და ჩვენც იძულებულნი გავხდით, ეს გუნდები უმაღლესის მიღმა დაგვეტოვებინა. „კოლხეთს" და „ცხინვალს" შევთავაზეთ პირველ ლიგაში თამაში და მდგომარეობას ოდნავ მაინც თუ გამოასწორებენ, ჩვენგან პრობლემა არ შეექმნებათ. ისე კი, მომავალში თამასას კიდევ უფრო ავწევთ და გუნდებისადმი მოთხოვნებს გავამკაცრებთ.

დიმიტრი რამიშვილი: ჩვენი მიზანია, რომ ქართული ფეხბურთის დონე ამაღლდეს და ქომაგი სტადიონს დაუბრუნდეს, ამიტომაც მომავალში კიდევ უფრო პრინციპულები ვიქნებით და ნურავის ექნება იმის იმედი, რომ მეგობრობა-ახლობლობის ხათრით რაიმეზე თვალებს დავხუჭავთ. გუნდების უსახსრობა კორუფციის ერთ-ერთი ხელშემწყობია, ამას კი ქართულ ფეხბურთში დიდი ხანია, ვებრძვით. ჩვენი მოთხოვნები პირველი ლიგის გუნდებისადმიც შესაბამისად კატეგორიული იქნება.

ბოლოს კი ორი სიტყვით დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების ახალ ფორმატზეც: სათასო მატჩები მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყება. თავდაპირველად გათამაშებაში ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის 10 გუნდი, პირველლიგელები ფარმ-კლუბების გარდა და რეგიონალლიგის ორი წარმომადგენელი — სულ 24 გუნდი. მერვედფინალში გასულ 12-ს დაემატება დარჩენილი 4 უმაღლესლიგელი, ისინი, რომლებსაც წლეულს ევროტურნირებზე თამაშის უფლება ჰქონდათ. ეს თექვსმეტი გუნდი კი ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფში განთესვის პრინციპით გადანაწილდება. მატჩები წრიული სისტემით, შინ და სტუმრად ჩატარება, ხოლო მეოთხედფინალში ჯგუფებში ორ-ორი გამარჯვებული ითამაშებს. შემდეგ გათამაშება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

აი, ასეთი ამბებია ქართულ ფეხბურთში. ჩემპიონატი კი ხვალ იწყება.

კობა ინასარიძე

პირველი წრე

პირველი ტური
29 ივლისი, შაბათი
დინამო – ბორჯომი
დილა – ბათუმი
სიონი – ოლიმპი
კახეთი – მერანი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
31 ივლისი, ორშაბათი
ამერი – ჩიხურა
ტორპედო – ვიტ ჯორჯია

მეორე ტური
5 აგვისტო, შაბათი
ბათუმი – ამერი
6 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია – სიონი
ბორჯომი – ლოკომოტივი
მერანი – ზესტაფონი
ოლიმპი – კახეთი
ჩიხურა – ტორპედო
დინამო – დილა

მესამე ტური
20 აგვისტო, კვირა
დილა – ბორჯომი
ამერი – დინამო
ტორპედო – ბათუმი
სიონი – ჩიხურა
კახეთი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – ოლიმპი
ლოკომოტივი – მერანი

მეოთხე ტური
27 აგვისტო, კვირა
ბორჯომი – მერანი
ოლიმპი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
ჩიხურა – კახეთი
ბათუმი – სიონი
დინამო – ტორპედო
დილა – ამერი

მეხუთე ტური
9 სექტემბერი, შაბათი
ამერი – ბორჯომი
ტორპედო – დილა
სიონი – დინამო
კახეთი – ბათუმი
ზესტაფონი – ჩიხურა
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
მერანი – ოლიმპი

მეექვსე ტური
17 სექტემბერი, კვირა
ბორჯომი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – მერანი
ჩიხურა – ლოკომოტივი
ბათუმი – ზესტაფონი
დინამო – კახეთი
დილა – სიონი
ამერი – ტორპედო

მეშვიდე ტური
23 სექტემბერი, შაბათი
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – ამერი
კახეთი – დილა
ზესტაფონი – დინამო
ლოკომოტივი – ბათუმი
მერანი – ჩიხურა
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია

მერვე ტური
14 ოქტომბერი, შაბათი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
ჩიხურა – ოლიმპი
ბათუმი – მერანი
დინამო – ლოკომოტივი
დილა – ზესტაფონი
ამერი – კახეთი
ტორპედო – სიონი

მეცხრე ტური
21 ოქტომბერი, შაბათი
სიონი – ბორჯომი
კახეთი – ტორპედო
ზესტაფონი – ამერი
ლოკომოტივი – დილა
მერანი – დინამო
ოლიმპი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ჩიხურა

მეათე ტური
29 ოქტომბერი, კვირა
ბორჯომი – ჩიხურა
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ოლიმპი
დილა – მერანი
ამერი – ლოკომოტივი
ტორპედო – ზესტაფონი
სიონი – კახეთი

მეთერთმეტე ტური
5 ნოემბერი, კვირა
კახეთი – ბორჯომი
ზესტაფონი – სიონი
ლოკომოტივი – ტორპედო
მერანი – ამერი
ოლიმპი – დილა
ვიტ ჯორჯია – დინამო
ჩიხურა – ბათუმი

მეთორმეტე ტური
18 ნოემბერი, შაბათი
ბორჯომი – ბათუმი
დინამო – ჩიხურა
დილა – ვიტ ჯორჯია
ამერი – ოლიმპი
ტორპედო – მერანი
სიონი – ლოკომოტივი
კახეთი – ზესტაფონი

მეცამეტე ტური
26 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – კახეთი
მერანი – სიონი
ოლიმპი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ჩიხურა – დილა
ბათუმი – დინამო



დავით ყიფიანის თასი

9-11 აგვისტო – 1/16 ფინალი
23 აგვისტო – 1/16 ფინალი. *საპასუხო მატჩები*
13 სექტემბერი – პირველი ჯგუფური ეტაპი
27 სექტემბერი – მეორე ჯგუფური ეტაპი
25 ოქტომბერი – მესამე ჯგუფური ეტაპი
11 ნოემბერი – მეოთხე ჯგუფური ეტაპი
22 ნოემბერი – მეხუთე ჯგუფური ეტაპი
2 დეკემბერი – მეექვსე ჯგუფური ეტაპი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის" ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

სულ არაა ფარა ფოთში? ეს ცხინვალიო, ჩვენი ვალიო...
უარესი იქნება!

ცეცხლი სოფიაში

ლევსკი და სიონი: გამოძახილი

ბოლნისის „სიონი“ სოფიიდან, სადაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში „ლევსკისთან“ 0:2 დამარცხდა, შინ გუშინ დაბრუნდა და „სიონის“ გენერალურ მენეჯერ ჯემალ ჭიპაშვილს სოფიურ ამბებზე დავეკითხეთ...

— მეორე ტაიმში თამაში სამჯერ შეწყდა — ორჯერ ორი-სამი წუთით, მესამედ კი შვიდი-რვა წუთით. ბულგარელი გულშემატკივრები მოედანზე პეტარდებს, მაშხალებს და კიდევ რაღაც ასაფეთქებელ მოწყობილობებს ისროდნენ და მსაჯმაც სწორედ ამის გამო გააჩერა სამჯერ თამაში — ცეცხლში, კვამლში და სუნში თამაში შეუძლებელი იყო. ასაფეთქებლები „სიონის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილის სიახლოვესაც გადმოაგდეს.

— ყველაფერ ამის გამო ინციდენტი მოხდა „ლევსკის“ გულშემატკივრებს შორის. ცეცხლმსროლელ გულშემატკივრებს მოპირდაპირე ტრიბუნიდან რეპლიკები ესროლეს, ისინი ტერორისტებადაც მოიხსენიეს და სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ საქმეში პოლიცია ჩაერია — მოქიშპე გულშემატკივრებს შორის კორდონი ჩადგა.

— „ლევსკის“ ორივე გოლი საეჭვო იყო — ანგელოვი გოლის გატანისას ალბათ თამაშგარეში იყო და როცა იგი ბათიაშვილთან პირისპირ გავიდა, რასაც 11-მეტრიანი და მეორე გოლი მოჰყვა, მაშინაც ისე ჩანდა, რომ თამაშგარე იყო.

— საგოლე მომენტი ჩვენც გვქონდა — პირველ ტაიმის მიწურულს ვლადიმერ უგრეხელიძემ ორი-სამი მეტრიდან დაარტყა თავით და „ლევსკის“ მეკარემ ბურთი ფეხით მოიგერია.

— საპასუხო მატჩი ალბათ თბილისში, „მიხეილ მესხზე“ გაიმართება, თუმც იმედს არ ვკარგავთ, რომ „ლევსკის“ ბოლნისში ვუმასპინძლებთ. განახლებულ ბოლნისის სტადიონზე სამუშაოები თითქმის დასრულებულია, განათებაც გაკეთდა და ელექტროტაბლოც დღესხვალ დამონტაჟდება. ვითამაშებთ თუ არა ბოლნისში „ლევსკისთან“, ამ დღეებში გადაწყდება.

— რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატში „სიონის“ პირველი ტურის მატჩს „ოლიმპთან“, შეხვედრა 23 აგვისტოსთვისაა გადატანილი.

დავით თავართქილაძე

თარხნიშვილს სპარტაკიდან ფანობა მოეწონა

საჩემპიონთალიგო და ამხანაგურ მატჩებში ქართველებმა ბლომად ითამაშეს და მართალია, ევროპა არ გადაურევიათ, მაგრამ მცირე აღწერას რა უშლის...

უკრაინის ჩემპიონატის პირველი ტურის ნაგვიანევ მატჩში გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგმა“ სტუმრად 0:2 წააგო „დნიპროსთან“. დონბასელთა ესპანელმა მწვრთნელმა ანხელ ალონსომ „დემე“ მხოლოდ ბოლო 15 წუთი ათამაშა, მაგრამ ჩვენიანმა ამ დროშიც ბევრი „მოასწრო“: 89-ე წუთზე მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გააცუდა — მეკარემ ბურთი მოიგერია.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩებს: კიევის „დინამოს“ დავით მჟედაშვილი ლატვიის „მეტალურგსთან“ შეხვედრაში განაცხადში ჰყავდა, მაგრამ ანატოლი დემიანენკომ ქართველი ახალწვეული ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა. კიეველებმა 4:1 მოიგეს და მესამე ეტაპზე გასვლა გაინაღდეს. რაც შეეხება ოთარ მარცვალაძეს, მოგეხსენებათ, იგი ტრავმირებულია.

უკვე მერამდენე წელია, ვაჟა თარხნიშვილი მოლდოვური „შერიფის“ კაპიტანი და ლიდერია. ვაჟამ 90 წუთი ითამაშა შინ მოსკოვის „სპარტაკთან“ ფრედ (1:1) დასრულებულ შეხვედრაში, სადაც მოლდოველებმა ბოლო წუთზე გაათანაბრეს ანგარიში.

სხვათა შორის, რუსულმა „ფუტბოლმა“ თარხნიშვილს ინტერვიუ ჩამოართვა და მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

— ჩემი აზრით, „სპარტაკს“ გაუმართლა. ჩვენ უფრო მეტი საგოლე მომენტი შევქმენით და უნდა მოგვეგო.

— შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი თუ დარჩა „შერიფს“?

— შანსი ყოველთვის არის, სანამ მსაჯი თამაშს არ დაამთავრებს.

— „შერიფმა“ პირველი ტაიმი ძალიან სუსტად ითამაშა. რატომ?

— ჩვენს ახალგაზრდებს ნერვიულობა ეტყობოდათ. რაც არ უნდა იყოს, „სპარტაკს“ კარგი ბიჭები ჰყავს.

— ვინ მოგეწონათ „სპარტაკიდან“?

— გულშემატკივრები...

ილია ნანობაშვილი

აგრესია მხოლოდ ჩემს კართან იყო

ბათიაშვილისკენ ქვებიც მიფრინავდა

„ლევსკისთან“ მატჩში სიონელთაგან გამორჩეული ზურაბ ბათიაშვილი იყო — ბოლნისელთა მეკარემ რამდენჯერმე იხსნა კარი და იქნებ ამიტომაც დაატყდა რისხვა სოფიელთა აგრესიული ფანებისგან — პეტარდები თუ მაშხალები ბათიაშვილის სიახლოვეს ცვიოდა...

— მაინც რა მოხდა სოფიურ მატჩში?

— ერთი ამბავი იყო, ასეთ სიტუაციაში არასდროს მითამაშია. არ ვიცი, დამიზნებით მესროდნენ თუ არა პეტარდებს, მაგრამ ცეცხლოვანი საგნები ჩემგან ხუთ-ექვს მეტრში ეცემოდა. ქვებსაც ისროდნენ — ნასროლი ქვები ჩემი კარის უკან მოგროვდა. ყველაფერი ეს მეორე ტაიმში მოხდა, მანამდე ყველაფერი ნორმალურად იყო.

— მეტოქე ფეხბურთელთა შორის წაკინკლავებას ხომ არ გამოუწვევია გულშემატკივართა აგრესია?

— ფეხბურთელებს შორის არანაირი ინციდენტი არ მომხდარა, კორექტული თამაში იყო და მიკროტრავმებიც კი არ ყოფილა. აგრესიული გულშემატკივართა მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, ისინი მეორე ტაიმში ჩვენს კარს უკან ისხდნენ.

— ითქვა, „ლევსკიმ“ ორივე გოლი თამაშგარედან გამოადნოო...

— პირველი გოლისას ჩემგან კარგად არ ჩანდა, იყო თუ არა თამაშგარე, ხოლო როცა პენალტი დაინიშნა, მართლა ჰგავდა თამაშგარეს. ვინც ორივე ეპიზოდი კარგად დაინახა, ყველა ამბობს, თამაშგარე იყოო.

— რამდენჯერმე რთული ბურთი მოგიგერიებია...

— მეორე ტაიმში ბულგარელები სამ-ოთხჯერ პირისპირ აღმოჩნდნენ ჩემთან და ვიმარჯვე.

— „სიონისგან“ „ლევსკის“ ბარიერის გადალახვა, ასე ვთქვათ, ზღაპარი იქნება?

— ზღაპარი არ იქნება, უბრალოდ, ეს ძალიან ძნელია, რადგან „ლევსკი“ კარგად ჩამოყალიბებული, გამოცდილი გუნდია.

დავით თავართქილაძე

ბადრი ქეთილაძის ფოტო

გალომდა თუ არა ღვინიანიძე?

ვალტერ შახნერი: მათე ძვირფასეულობაა!

მათე ღვინიანიძემ კვლავ 90 წუთი ითამაშა „მიუნხენ 1860“-ის შემადგენლობაში. „ლომებმა“ სამწვრთნელო მატჩში ბელგრადის „პარტიზანი“ 3:0 გაანადგურეს, 19 წლის ქართველმა კი მე-60 წუთამდე მარჯვენა მცველად ითამაშა, ხოლო მერე ცენტრში გადასწია მწვრთნელმა ვალტერ შახნერმა.

მთლიანად დაცვამ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა — ასე წერს „მიუნხენ 1860“-ის ვებგვერდი. ეს კარგი, მაგრამ საოცარია, რომ არც ერთ გერმანულ ვებგვერდში მათე „ლომების“ ფეხბურთელად ოფიციალურად არაა მოხსენიებული...

აი, რას ამბობს მიუნხენელთა თავკაცი ვალტერ შახნერი. „იმედი მაქვს, ქართველი მცველის ტრანსფერთან დაკავშირებით მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეთანხმებას მივაღწევთ. ის კონტრაქტით რუსებს ეკუთვნით, მაგრამ თამაში არ უწევდა“...

მართლაც საინტერესო ამბავია... ისე, შახნერს ცამდე აჰყავს მათე, ქართველი ნამდვილი ძვირფასეულობააო.

„მან „პარტიზანთან“ მატჩში დაამტკიცა, რომ არა მარტო ცენტრალურ მცველად, არამედ მარჯვენა მცველადაც შეუძლია თამაში. ღვინიანიძე გიგანტური ტალანტი და ჭკვიანი, ინტელიგენტური მანერის ფეხბურთელია. ის ძვირფასეულობაა, ფეხბურთი სისხლში აქვს გამჯდარი“.

ილია ნანობაშვილი

სახსოვრად კალჩოპოლისგან

მორატიმ ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტობა იუარა

ინტერს სუდეტო სანდალური ხონჩით მიართვეს

მილანის „ინტერი“ იტალიის ჩემპიონია! „ნეროაძური“ ამას 1989 წლის მერე ელოდა და როგორც იქნა, ნატვრა აუხდა. „ინტერს“ გასული სეზონის სკუდეტო გადასცეს. რაკი „იუვენტუსი“ სერია B-ში დააქვეითეს, ხოლო „მილანს“ 30 ქულა მოაკლეს, მათ მერე ცხრილში სწორედ „შავ-ლურჯები“ მოდიოდნენ.

მანჩინიმ მუქთა სკუდეტო შეიფერა

მართალია, „ინტერი“ პირველ ადგილზე ქულების სარეკორდო მაჩვენებლით (91) გასულ „იუვენტუსს“ 15 ქულით ჩამორჩა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ასე ვთქვათ, ეს, ნაჩუქარი სკუდეტო ისე უხარია, თითქოს ჩვეულებრივად მოეგოს. აღსანიშნავია, რომ ტურინელებს 2004-05 წლების სეზონის ჩემპიონობაც ჩამოართვეს, მაგრამ იგი არავისთვის გადაუციათ.

„ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ, რომ სკუდეტო ჩვენ გადმოგვცეს ანუ გუნდს, რომელსაც ყოველგვარი მაქინაციებისგან თავი შორს ეჭირა“ — აღნიშნა „ნეროაძურის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ.

„ინტერის“ მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ბედნიერი ვარ, ჩვენ ეს დავიმსახურეთ. მართალია, სკუდეტო ცოტა უცნაურად მოვიპოვეთ, მაგრამ ესეც ლოგიკურია, ჩემპიონობა მას ეკუთვნის, ვინც პატიოსნად თამაშობდა.“

„ნეროაძურისთვის“ ეს მეთოთხმეტე სკუდეტოა და გუნდს მეთხუთმეტეს მოგების მშვენიერ შანსი აქვს, რადგან მომავალ სეზონში „იუვენტუსი“ სერია A-ში არ იქნება, ხოლო „მილანი“ მინუს 8 ქულით დაიწყებს.

სანდრო მაცოლამ, 60-იანი წლების ლეგენდარული „ინტერის“ ერთ-ერთმა ლიდერმაც გააკეთა კომენტარი: „არ შეიძლება, ეს ტიტული შეადარო ძველებს. კერძოდ, მათ, რომლებსაც მე ვიგებდი. ჯერ ერთი, სხვადასხვა ეპოქებზე გვაქვს საუბარი, თანაც ეს სკუდეტო გუნდმა ცოტა უცნაურად მოიპოვა, მაგრამ დამსახურებულად. ფანები კი ორმაგად გახარებულნი უნდა იყვნენ, რადგან მათი გუნდი პატიოსნად თამაშობს“.

ამასობაში, იტალიის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტობა სწორედ მასიმო მორატის შესთავაზეს, მაგრამ მოგვიანებით მან კანდიდატურა მოხსნა. ინიციატივა „პალერმოს“ შეფ მაურიციო ძამპარინისგან წამოვიდა, რომელსაც ეგონა, მორატის ერთსულოვანი მხარდაჭერა ექნებოდა, მაგრამ მთლად ასეც არ მოხდა.

მორატის კანდიდატურას „ფიორენტინის“ საპატიო პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე შეეწინააღმდეგა და მას სხვა მომხრეებიც გამოუჩნდნენ. მართალია, პირველ მოსმენაზე მორატიმ სერია A-ს და სერია B-ს კლუბებისგან 22 ხმა მიიღო, მაგრამ მერე არჩევნებში მონაწილეობა აღარ ისურვა. კრებიდან გამოსულმა „მესინას“ პრეზიდენტმა პიეტრო ფრანცამ კი აღნიშნა, მორატიმ და „რომას“ თავმჯდომარე როსელა სენსიმ ხმების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა მიიღესო.

„ჩემს კანდიდატურას ოფიციალურად ვხსნი. კოლეგებს შეუძლიათ, თავისუფლად აირჩიონ სხვა პრეზიდენტი. იმედია, მისი არჩევა ფარულად და უმტკივნეულად მოხდება. ჩემთვის დიდი პატივია, რომ დამასახელეს, მაგრამ თავიდანვე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს მინდოდა. ისეთი პიროვნება გვჭირდება, რომელიც რთულ მომენტებშიც შეინარჩუნებს სიმშვიდეს“ — განაცხადა მორატიმ.

შეგახსენებთ, რომ ამ პოსტიდან ცოტა ხნის წინ გადადგა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, რომელსაც ახლახან კალჩოპოლიმ ცხრა თვით აუკრძალა ფეხბურთში საქმიანობა. მას დროებით, „კალიარის“ შეფი მასიმო ჩელინი ცვლის. მომავალი კრება კი 8 აგვისტოსთვის დაინიშნა, რომელზეც ალბათ აირჩევენ კიდეც ახალ პრეზიდენტს.

გიორგი კაკაბაძე

იტალიის ყველა ჩემპიონი

იუვენტუსი	27
(2004-05 და 2005-06 წლების სეზონების ჩამორთმეული სუდეტოების ჩათვლით 29)	
მილანი	17
ინტერი	14
(2005-06 წლების სეზონის სუდეტოს ჩათვლით)	
ჯენოა	9
ტორინო	7
(1926-27 წლების სეზონის ჩამორთმეული სუდეტოს ჩათვლით 8)	
ბოლონია	7
პრო ვერჩელი	7
რომა	3
ფიორენტინა	2
ლაციო	2
ნაპოლი	2
კალიარი	1
კაზალე	1
სამპდორია	1
ვერონა	1
ნოვეზე	1

მტრები გვყავს, მტრები!

მოჯიმ ორთვიანი მუნჯობა დაარღვია



„იუვენტუსის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ ორთვიანი დუმილის შემდეგ ტურინის ერთ-ერთ სასტუმროში პრესკონფერენცია გამართა — ადამიანმა, რომელიც კალჩოპოლის სკანდალში მთავარ დამნაშავედ აღიარეს, ტრიბუნალ-აპელაციების შემდეგ აზრის გამოხატვა ინება. შეგახსენებთ, რომ მოჯიმ მოვლენებს იმთავითვე დაასწრო, ჯერ კიდევ 14 მაისს განაცხადა, რომ „მათ მისი სული მოკლეს“ და საფეხბურთო მოღვაწეობას თავი დაანება, რითაც პროცესზე სიარული და „საბრალდებო სკამზე ჯდომა“ აირიდა — თქვენ რაღა დისკვალიფიკაცია უნდა მომისაჯოთ, როდესაც მე თავად ვანებებ ამ სფეროს თავსო.

„მიხარია, რომ ზოგმა კლუბმა სასჯელი აირიდა, მაგრამ ძალიან ვწუხვარ „იუვენტუსის“ გამო. მე ამ გუნდს, სადაც კი ხმა მიმიწვდება, დავიცავ. ამ კლუბს აბსოლუტურად არაფერი დაუშავებია და ყველანი ნახავთ, მთელი ეს ბრალდებები ნისლივით როგორ გაიფანტება. ჩემთვის „ბებერი ქალბატონი“ სერია B-ში დიდი დარტყმაა, მაგრამ მეორე მხრივ ეს ამტკიცებს იმას, რაც ადრეც ვიცოდი — ტურინის გუნდს მტრები ჰყავს“.

შემდეგ სიტყვამ ეგრეთწოდებული „მოჯის სისტემა“ მოიტანა. მოგეხსენებათ, კალჩოპოლის სკანდალი სწორედ იმიტომ აგორდა, რომ ფარდა აეხადა გარიგებათა და თაღლითობათა თითქოსდა სწორედ ლუჩანო მოჯის მიერ მოგონებულ სისტემას.

„მე ბრალს სისტემის შექმნაში მდებენ, მაგრამ თუ ეს სისტემა მართლა არსებობს, სად არიან ჩემი თანამზრახველები? ძმებ დელა ვალეებს ჩემთან ურთიერთობაში რომ დასდეს ბრალი, გამაგებინეთ ერთი, აქ დანაშაული რაშია?“

მოჯიმ თქვა, რომ სატელეფონო საუბრები, რომელთა საფუძველზეც ამხელა ამბავი აგორდა, სულაც არ არის მყარი მტკიცებულება. პირიქით, ნებისმიერ საუბარს შეიძლება ინტერპრეტაცია მოუძებნო. აქედან გამომდინარე, „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ამბობს, რომ მისი შეხვედრები და სადილები მსაჯებთან სულაც არ მოიცავს რაიმე დანაშაულს.

„შეადარეთ მთელი სეზონის განმავლობაში „იუვენტუსის“ კარში დანიშნული პენალტები და „იუვენტუსის“ ფეხბურთელებისთვის ნაჩვენები ყვითელი ბარათები სხვა გუნდებისას და თავად ნახავთ, რომ ჩვენ თავზე ხელს არავინ გვისვამდა. ჯობდა „ინტერის“ პრეზიდენტის, ჯაჩინტო ფაკეტის სადილებისთვის და სატელეფონო საუბრებისთვის მიეხედათ. კიდევ, ძალიან მაინტერესებს, საიდან მოიტანა „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ შვიდი-რვა თვის წინ, რომ მე ყველაფერს სადაც ჯერ არს გამომკითხავდნენ. მან რა, წინასწარ იცოდა რასაც უპირებდნენ „იუვენტუსს?“

კაკუნა კედია

პესოტო პალატიდან

ჯანლუკა პესოტოს მკურნალმა ექიმებმა განაცხადეს, რომ „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი ინტენსიური მკურნალობისგან, ალბათ, მომდევნო კვირაში განთავისუფლდება, თუმცა საბოლოო გამოჯანმრთელებამდე რამდენიმე წელიწადი აშორებს.

შეგახსენებთ, რომ პესოტო საავადმყოფოში 27 ივნისს მოხვდა, მას მერე, რაც კლუბის ოფისიდან გადმოხტა და თავის მოკვლა სცადა. ერთ-ერთ ვერსიად ამბობდნენ, რომ მისი თვითმკვლელობა მის ახალ სამსახურთან, „იუვენტუსის“ სპორტულ მენეჯერობასთან იყო რაღაცნაირად დაკავშირებული — მოგეხსენებათ, „იუვენტუსი“ კალჩოპოლის სკანდალში აღმოჩნდა გახვეული — მაგრამ ეს დამტკიცებული არ გახლავთ, ხოლო თავად მას პალატაში უთქვამს, რომ ამიერიდან ცხოვრებაში ახალი თავის დაწყება სურს.

პროფესორმა დონატო მუნომ ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ უკვე ორი კვირაა, 35 წლის პესოტოს ფსიქიატრი ესაუბრება.

„პესოტოს სურს დაჰყვეს მკურნალობას და უკეთ გახდეს — ბრძანა პროფესორმა — მან იცის თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ეთანხმება ჩვენს მიერ დანიშნულ კურსს და გამოჯანმრთელება უნდა. ახლა მას სრულ გამოჯანმრთელებამდე გრძელი გზა აქვს გასავლელი. ჩვენ გვინდა წყნარად მივყვეთ ამ გზას, ხოლო იმის ზუსტად თქმა თუ რამდენი ხანი დასჭირდება ამ ყველაფერს, ახლა ძალიან ძნელია. ჩვენ ვეხმარებით იმის აღდგენაში თუ რა მოხდა. მან სიმართლეს თვალი უნდა გაუსწორის და მიიღოს ისეთი, როგორიც არის. აშკარაა, რომ პესოტოს დეპრესია ახალი არ არის და დაკავშირებულია ფეხბურთელობისთვის თავის დანებებისა და დირექტორად გარდაქმნის გადაწყვეტილებასთან. მას დირექტორობა ძნელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ გამოწვევის მიღებას ამირებს. ის საკმაოდ ძლიერი ადამიანია საიმისოდ, რომ ახალ ამოცანას თავი გაართვას, ხოლო ჩვენ ყოველმხრივ დავეხმარებით. ბუნებრივია, ოჯახიც მხარში ამოუდგება“.

კაკუნა კედია

კითხვა: ვინ ცხოვრობს მირასიერა სუიტესში?

პასუხი: რუტგერუს იოჰანეს მარტინუსი

მადრიდის „რეალმა“ „მანჩესტერიდან“ რუუდ ვან ნისტელროი იყიდა. სამეფო თეთრებმა ჰოლანდიელში 15 მილიონი ევრო გადახადეს და რუუდსაც ოფიციალურად დღეს წარადგენენ „რეალის“ ფეხბურთელად. მადრიდელთა პრეზიდენტი კალდერონი მედიასთან საუბარში დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ გულშემატკივრებს დანაპირებს შეუსრულებდა და სიტყვა არც გატეხა — ოთხშაბათს, გვიან ღამით, კასტალიური გრანდის სპორტული დირექტორი მიატოვიჩი ინგლისელებს მოელაპარაკა და ყველაფერი მაშინ გადაწყდა.

ახლი ფორვარდი მადრიდში, პარასკევს დილით ჩარტერული რეისით ჩაფრინდება და დროებით ბინას ოტელ „მირასიერა სუიტესში“ დაიდებს, იქ, სადაც კლუბში ოფიციალურ პრეზენტაციამდე კანავარო და ემერსონი გაჩერდნენ. დღესვე ნისტელროი ლა მორალესას კლინიკაში სამედიცინო შემოწმებას გაივლის და შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გულშემატკივართა და ჟურნალისტთა წინაშე წარსდგება, როგორც უკვე მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი. რუუდს კასტილიელთა მაისურას ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო გადასცემს. თუმც რა ნომრით ითამაშებს ჰოლანდიელი „ბერნაბეუზე“, ჯერჯერობით უცნობია.

პარასკევს საღამოს ვან ნისტელროი ავსტრიაში, ირდნინგს გაემგავზრება, სადაც სეზონთაშორისის ტურნირზე მყოფ „რეალთან“ ერთად ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით დაიწყებს ვარჯიშს. ირდნინგში ძველი მეგობრები შეხვდებიან ერთმანეთს — დევიდ ბექემმა და რუუდმა ერთად ორ სეზონი გაატარეს „მანჩესტერ იუნაიტედში“.

რუტგერუს იოჰანეს მარტინუს ვან ნისტელროი 1976 წლის 1 ივლისს დაიბადა ჰოლანდიურ ოსში. კარიერა პატარა გუნდ „ნუიტ გედახტში“ დაიწყო, სადაც თავიდან მცველად ათამაშებდნენ. შემდეგ მწვრთნელმა რუუდის ფიზიკური ძალა და თავით ბურთაობის ნიჭი შენიშნა და მომავალ მეგოლეს უმალ თავდასხმაში უკრა თავი.

ჰოლანდიელი 1993 წელს „დენ ბოსხში“ გადავიდა და იქ ოთხი სეზონი გაატარა. პირველი სამი კამპანიის განმავლობაში სულ რაღაც 5 გოლი შეაგდო, აი, მეოთხეში კი აფეთქდა და 31 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა. შემდეგ იყო „ჰეერენვენი“, ხოლო თავისი 22-ე დაბადების დღეს რუუდი პსვ-ში გადაიყვანეს. პსვ-მ „ჰეერენვენს“ 5 მილიონი გადაუხადა ვან ნისტელროის სანაცვლოდ, რაც დღემდე ჰოლანდიურ კლუბებს შორის სატრანსფერო რეკორდად რჩება.

„მანჩესტერ იუნაიტედში“ ჰოლანდიელი 28 მილიონის საფასურად მივიდა. ახლა კი, „ოლდ ტრეფორდზე“ გატარებული სახელოვანი წლების შემდეგ, ვან ნისტელროი ბედს ესპანურ პრიმერადივიზიონში ცდის. რუუდი კონტრაქტით სამი სეზონი დარჩება „ბერნაბეუზე“ და წლიურ ანაზღაურებად 5 მილიონ ევროს მიიღებს.

ლადო ხომერიკი

დიდიე დეშანმა დაკეტა, ალ ჯაზირა ამტვრევს

ტურინის „იუვენტუსის“ ახალმა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა განაცხადა, რომ კლუბს მეტი ფეხბურთელი აღარ დატოვებს. შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონის“ სერია B-ში დაქვეითების გამო გუნდმა უკვე დაკარგა ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, ლილიან ტურამი, ემერსონი და ადრიან მუტუ.

„მეტი აღარავინ წავა. ფეხბურთელების აგენტმა რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, მაგრამ ეს ჩვენი პოზიციაა, რომელიც არ შეიცვლება. თუ ვინმე უკმაყოფილოა იმით, რომ სერია B-ში მოგვიწევს თამაში, შეუძლია 2-3 დღე მოიწყინოს, მერე კი სერიოზულ ვარჯიშს და მზადებას უნდა შევუდგეთ. ხოლო ვინც ცუდად ითამაშებს, სათადარიგოთა სკამზე დავჯდება და მას სხვა შეცვლის“ — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

ამ განცხადებით დეშანმა ჯანლუიჯი ბუფონს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს, დავიდ ტრეზეგეს, მაურო კამონარეზისა და პატრიკ ვიეირას აგრძნობინა, რომ ისინი სხვა კლუბებზე ფიქრს უნდა შეეშვან. ამ ფეხბურთელებს მრავალი მსურველი ჰყავთ, მაგრამ „ბებერ ქალბატონს“ ძლიერი შემადგენლობის შენარჩუნება უნდა, რადგან სერია B-ში მინუს 17 ქულით ითამაშებს და მძიმე ბრძოლა ელის. ხოლო ალესანდრო დელ პიეროს და სხვა მოთამაშეებს ისედაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი დარჩენა.

დიდიე დეშანი: „აპელაციის შედეგით მეც დამწუხრებული დავრჩი. „ლაციო“ და „ფიორენტინა“ სერია A-ში დააბრუნეს, ჩვენ კი არა. ვერ ვხედავ განსხვავებას იმ კლუბებს შორის, რომლებიც მაქინაციებში მონაწილეობდნენ და „იუვენტუსის“ ასე გამოკვეთილად დასჯა აღოგიკურად მეჩვენება. რაც შეეხება სერია A-ში პირველსავე სეზონში დაბრუნებას, ეს ისევ რთულ მისიად რჩება, მაგრამ არა შეუსრულებლად“.

პაველ ნედვედს კი ახალი მსურველი გამოუჩნდა — არაბული „ალ ჯაზირა“. კლუბი 34 წლის ჩეხს ერთწლიან კონტრაქტს და საოცარ ჯამაგირს — 19 მილიონ დოლარს სთავაზობს.

„ჩვენ პირადად ნედვედს დავუკავშირდით, რომელიც შეგვპირდა, რომ პასუხს უახლოეს დღეებში გვეტყვის. იმის გათვალისწინებით, რომ „იუვენტუსი“ სერია B-შია დიდი შანსია, იგი ჩვენს წინადადებას დათანხმდეს“ — ნათქვამია „ალ ჯაზირას“ განცხადებაში.

„პაველი მომავალ სეზონში „იუვენტუსის“ ფეხბურთელი იქნება“ — ეს ნედვედის აგენტ დავიდ ნეჰოდას აპელაციის შედეგების შემდეგ გაკეთებული კომენტარია.

„იუვენტუსის“ ერთ-ერთი აღზრდილი და მომავალი იმედი რაფაელე პალადინო კი ამბობს, რომ ძალიან გახარებულია „ბებერი ქალბატონის“ პირველ გუნდში მოხვედრით და შეეცდება, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს.

„ოცნება ამიხდა. პაველ ნედვედის, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და სხვა ვარსკვლავების გვერდზე ყოფნა და მათთან ერთად თამაში საოცრად სასიამოვნოა. ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი კონკურენცია იქნება, მაგრამ ეს ჩვეულებრივი და სასარგებლო ფაქტია, რადგან ვალდებული ხარ, შენი საუკეთესო თამაში აჩვენო“ — თქვა 22 წლის თავდმსხმელმა.

ახალგაზრდა ფეხბურთელი გასულ სეზონში „ლივორნოში“ იყო განათხოვრებული, სადაც სამი თვე მუხლის ტრავმის გამო გაუცდა. თუმცა იგი მინდორს დაუბრუნდა და ძველებურად ათამაშდა. მან რამდენიმე დღის წინ „ალესანდრიასთან“ 8:0 მოგებულ მატჩში გოლი გაიტანა.

რაფაელე პალადინო: „ძალიან გამიხარდა, რომ გავიტანე. თუმცა ეს მნიშვნელოვანი მატჩი არ ყოფილა. კმაყოფილი ვარ მწვრთნელითაც. მან გვითხრა, რომ პირველივე დღიდან თავდაუზოგავად ვივარჯიშოთ და მინდორზე რაც შეგვიძლია, ყველაფერი გავაკეთოთო. გასულ სეზონში მართლაც რთული იყო 3 თვე უქმობა, მაგრამ ფორმის აღდგენა შეეძელი და ახლა მზად ვარ. მე უბრალო ფეხბურთელი არ გეგონოთ, რომელიც განათხოვრებული იყო და კლუბში დაბრუნდა. მეც და სხვებმაც სწორედ ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ „იუვენტუსის“ მაისურის ტარების ღირსნი ვართ“.

გიორგი კაკაბაძე

დამირეკე, ბობო!

გენუის „სამპდორია“ კრისტიან ვიერის ელის, რომელთანაც კონტრაქტი 7 ივლისს გააფორმა, მაგრამ „ბობო“ მას მერე კლუბში არ გამოჩენილა. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ცნობა, 33 წლის ფორვარდი მუნდიალის დაწყებამდე მიღებულ ტრავმას ვერ ინელებს, მოტივაცია დაკარგა და კარიერის დასრულებაზე ფიქრობსო. თუმცა თავად ვიერისგან ჯერ არაფერი ისმის.

„სამპდორიამ“ „ბობოს“ ნება დართო, მკურნალობის კურსი მილანში დამოუკიდებლად გაეგრძელებინა და გუნდს მერე შეერთებოდა, მაგრამ იგი არ ჩანს. ვიერიმ გასული უქმეები სარდინიაზე გაატარა და წესით, გენუელთა გენერალურ დირექტორ ბეპე მაროტას ტელეფონით უნდა დაკავშირებოდა, მაგრამ...

გენუელთა ფეხბურთელებმა მისი გამხნევება სცადეს და საჯაროდ განაცხადა, ჩვენთვის დიდი პატივი იქნება ვიერის გვერდით თამაშიო. შედეგი არც ამან გამოიღო.

ბეპე მარიტა: „ჩვენ პატივს ვცემთ ვიერის, როგორც პიროვნებას და პროფესიონალს, თუმცა გუნდის 25 ფეხბურთელი უკვე ვარჯიშობს და მის ლოდინს დაუსრულებლად არ ვაპირებთ. დღეები გადის და ვხვდებით, რომ კრისტიანის ჩამოსვლა სულ უფრო და უფრო სათუო ხდება“.

„სამპდორიამ“ უკვე დაიწყო ვიერის შემცვლელზე ფიქრი. ამბობენ რომ ეს, „ლივორნოს“ ვეტერანი ფორვარდი კრისტიანო ლუკარელიაო.

კოკი კანდელაკი

ფერენცვაროში გააგდეს

ასეთი რამ უნგრეთის ყველაზე წარმატებული და პოპულარული კლუბის, „ფერენცვაროშის“ ისტორიაში პირველად მოხდა: გუნდი მეორე დივიზიონში გააგდეს. „ფერენცვაროშის“ ქომაგები და ფეხბურთელები ბრალს საკუთარი დირექტორატის წევრებს სდებენ, გაძევების მიზეზი კი ის გახლავთ, რომ კლუბმა უეფას ლიცენზირების მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა.

და ვინ დაიკავა დივიზიონში „ფერენცვაროშის“ ადგილი? ვინ და ბუდაპეშტისავე მეორე გუნდმა „ვაშაშმა“, რომელიც გასულ სეზონში გავარდა.

„ფერენცვაროშის“ ვექილები საქმის სამოქალაქო სასამართლოში გადატანას აპირებენ, ხოლო გულშემატკივრებმა მიტინგი მოაწყვეს.

„ფერენცვაროში“ დაარსდა 1899 წელს და 1901 წლიდან ქვეყნის უმაღლეს ლიგაშია. გუნდი 28-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და 20-ჯერ თასის მფლობელი. 1965 წელს „ფერენცვაროშმა“ ევროპის „ბაზრობათა თასი“ მოიგო. ეს თასი მალე უეფას თასად გადაკეთდა. 1975 წელს ბუდაპეშტელებმა თასების თასიც მოიპოვეს.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავიერ ზალა ი მარტინი

ბარსელონას ორი პრეზიდენტი ჰყავს: ალბერტ აინშტაინი და სალვადორ დალი

„ბარსას“ რადიკალური ცვლილებები სჭირდება. აქ უნდა შეიცვალოს იდეები, ბიზნეს მენტალიტეტი, სატრანსფერო პოლიტიკა და თვით თაობაც. ამიტომაც ვფიქრობ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის ყველაზე ღირსეული ხუან ლაპორტაა და გუნდის თავკაციც ის უნდა გახდეს“ — წერდა „ლა ვანგუარდიაში“ 2003 წლის 11 ივნისს ცნობილი კატალონიელი ეკონომისტი ხავიერ ზალა ი მარტინი.

მაშინ კატალონიური გრანდის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ ოთხი დღე იყო დარჩენილი და, როგორც იცით, კლუბში გაწევრიანებულმა ინჩასებმა თავკაცად სწორედ ახალგაზრდა კატალონიელი ადვოკატი ლაპორტა აირჩიეს. ხავიერ ზალა დღეს „ბარსას“ დროებითი პრეზიდენტია — 3 სექტემბრის არჩევნებამდე „კამპ ნოუს“ გუნდს იგი მიხედავს. სამი წლის წინ კი მისი წერილები „ლა ვანგუარდიაში“ არავის გაჰკვირვებია — ესპანეთში და მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი, სხვადასხვა პრესტიჟული გამოცემების სასურველ სტუმრად ითვლებოდა და დღემდე ითვლება.

„ბარსელონას“ სათავეში მოსვლის შემდეგ პრეზიდენტმა ლაპორტამ ზალას, კლუბის ეკონომიკური კომისიის პრეზიდენტობა შესთავაზა, თუმცა იმ დროს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმეებით დაკავებულმა მეცნიერმა (კოლუმბიის და ჰარვარდის უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობდა და მსოფლიო ბანკის კონსულტანტიც გახლდათ) თანამდებობაზე უარი განაცხადა. თუმც 2004 წელს ლაპორტამ მაინც მიაღწია საწადელს და ხსენებული ეკონომიკური კომისია ზალა ი მარტინს ჩააბარა. ამჟამად ყველა კატალონიური გაზეთი აღნიშნავს, რომ საარჩევნო ორომტრიალში გახვეულ „ბარსელონას“ საიმედო დროებითი პატრონი ჰყავს — მიუხედავად საარჩევნო ურნებთან დაკავშირებული არეულობისა, ხავიერ ზალა 3 სექტემბრამდე „კამპ ნოუს“ გრანდის საჭეს ხელიდან არ გაუშვებს.

ჰარვარდის და კოლუმბიის უნივერსიტეტების ახალგაზრდა პროფესორს (ხავიერ ზალა ი მარტინი 1963 წელს დაიბადა) ცხოვრებაში ორი სათაყვანებელი კერპი ჰყავს — ალბერტ აინშტაინი და სალვადორ დალი. კატალონიას კი ყოველთვის „ჩემ სამშობლოდ“ მოიხსენიებს. ბავშვობიდანვე „ბარსელონას“ თავგამოდებული ინჩასი იყო და ამ გუნდის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი თამაში არ გამოუტოვებია. ხავიერ ზალა იყო 1979 წელს შვეიცარული „სანტ იაკობს სტადიუმზეც“, სადაც „ბარსამ“ თასების თასის დაძაბულ ფინალში დიუსელდორფის „ფორტუნა“ დაამარცხა. რაღა თქმა უნდა, დღევანდელი პრეზიდენტი 2006 წლის ლიგის ფინალსაც ესწრებოდა პარიზში. როცა ბელეტიმ „არსენალს“ გამარჯვების გოლი შეუგდო, გახარებული დოქტორი თურმე პატარა ბავშვივით ხტუნავდა და ღრიალებდა... მერე ზალამ ჩემპიონთა თასით ხელში სურათიც გადაიღო.

„პარიზში ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები განვიცადე. ის დღე არასოდეს დამავიწყდება“ — იტყვის შემდეგ სენიორ ზალა ი მარტინი.

შეგახსენებთ, რომ „კამპ ნოუს“ გრანდს არჩევნები სასამართლომ დაუწესა — „ბარსას“ წესდებით, პრეზიდენტს ყოველ 4 წელიწადში ირჩევენ. ლაპორტა 2003 წლის 22 ივნისს აირჩიეს, თუმცა საკლუბო კანონით წელი 1 ივლისიდან იანგარიშება და სენიორ პრეზიდენტსაც 22 ივნისიდან ივლისის პირველამდე რამდენიმე დღე პირველ სამუშაო წლად ჩაუთვალეს. ლაპორტა თანამდებობიდან გადადგა, რათა 3 სექტემბრის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. იქამდე კი დროებითი პრეზიდენტი სენიორ ხავიერ ზალა ი მარტინი იქნება, მსოფლიოს გამოჩენილი ეკონომისტი და „ბარსელონას“ ფანატიკოსი ქომაგი.

ლადო ხომერიკი

მამა იჯდა და ტიროდა

კატალონიური „ბარსელონას“ ბრაზილიელი მცველის, ჟულიანო ჰაუს ბელეტის სახელი ამ კლუბის ისტორიაში უკვე ოქროს ასოებითაა ჩაწერილი. ბელეტიმ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „არსენალთან“ გამარჯვების გოლი შეაგდო და „ბარსას“, რიგით მეორე ჩემპიონთა თასი მოუტანა. დიდი ფიესტის შემოქმედს ბარსელონური „სპორტის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ. მაშ ასე, გასული სეზონი ჟულიანო ბელეტის მიხედვით

— რომელი იყო წინა სეზონის საუკეთესო გოლი?

— ის, რომელიც სამუელ ეტოომ „კამპ ნოუზე“ „რასინგს“ გაუტანა.

— საუკეთესო მატჩი?

— „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „რეალი“ — „ბარსა“.

— „ბარსას“ ყველაზე ცუდი თამაში 2005-06-ში?

— მეორე წრის დასაწყისში მადრიდის „ატლეტიკოსთან“ შინ რომ წავაგეთ.

— ყველაზე უხერხულ მეტოქეს ვინ წარმოადგენდა თქვენი გუნდისთვის?

— „ბენფიკა“ ლიგის მერვედფინალში. ძალიან გაგვიჭირდა პორტუგალიელებთან.

— გასულ სეზონს თქვენთვის, ყველაზე მეტად რომელი ფოტო ასახავს?

— ალბათ, „კამპ ნოუზე“ მთელი გუნდი ერთად რომ გავწექით მინდორზე. მაშინ პარიზიდან ახალი დაბრუნებულები ვიყავით და „ბარსელონას“ სტადიონზე თასის აღებას ვზეიმობდით.

— გასული სეზონის ყველაზე გადამწყვეტი ეპიზოდი...

— ცალკეულ ეპიზოდს ვერ გეტყვით. საერთო ჯამში ყველაზე გადამწყვეტი გუნდის სულიერი მდგომარეობა იყო — მთელი წელი გასახდელში ხუმრობა არ შეგვიწყვეტია.

— როდის მიხვდით, რომ პრიმერას ოქროს მედლები ვერსად წაგივიდოდათ?

— „სარაგოსასთან“ ორბურთიანი მოგების შემდეგ.

— გასული სეზონთაშორისიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

— სულისშემხუთველი სიცხე, რომელმაც აზიური ტურნეს დროს გაგვაწამა.

— მუნდიალიდან რას გაიხსენებდით?

— იმას, რომ უკეთესი ფეხბურთის ნახვას ველოდებოდი.

— რა გაიფიქრეთ პირველად, როცა ლიგის ფინალური მატჩის წინ „სტად დე ფრანსის“ მოედანზე გასახურებლად გამოხვედით?

— მოთელვა კარგად უნდა შევასრულო-მეთქი...

— თასის მოგების შემდეგ რომელი თანაგუნდელის საქციელმა გაგაკვირვათ ყველაზე მეტად?

— ინიესტამ იცეკვა, გიჟივით. ეს სხვას რომ ექნა, არ გამიკვირდებოდა, ანდრეს ინიესტა კი ზედმეტად სერიოზულია საამისოდ.

— თუ მიხვდით, „რეალ“-„ბარსას“ დროს „სანტიაგო ბერნაბეუს“ გულშემატკივრებმა აპლოდისმენტებით რომ დაგაჯილდოეს?

— მე სახლში, ტელევიზორით ვუყურე ამ თამაშს. მოედანზე ფეხბურთელებს, ალბათ, სხვა გრძნობა ექნებოდათ.

— რა იფიქრეთ, როცა არსენალელმა კემპბელმა ფინალში „ბარსას“ პირველი გოლი გაუტანა?

— არაფერი. მშვიდად ვიყავი, რადგანაც ვიცოდი, გასათანაბრებლად და მოსაგებად კიდევ ბევრი დრო გვქონდა დარჩენილი.

— და როცა ბელეტიმ გაიტანა?

— პირველად მამაჩემი გამახსენდა, შემდეგ კი თავში აზრმა გამიელვა, სიხარულისგან არ მოვმკვდარიყავი. მამა კი ტრიბუნაზე იჯდა და იცრემლებოდა...

მარადონა ცირკს გაექცა

ოთხშაბათს დიეგო მარადონა რამდენიმე საათით ბუენოს აირესის ერთ-ერთ კერძო საავადმყოფოში დააწვინეს. მიზეზი: ჯანმრთელობის სრული გამოკვლევა. როგორც მისმა პირადმა ექიმმა ალფრედო კაჰემ განაცხადა ეს ლამით იმიტომ მოხდა, რომ დღისით პრესა-ტელევიზია „ცირკს მოაწყობდა“.

დიდი მარადონას ჯანმრთელობა ამ ბოლო დროს შემაშფოთებელ სიგნალებს იძლევა. აპრილში ის მუცლის ტკივილის გამო იწვა საავადმყოფოში, 2004 წელს გულმა შეუტია. 2005-ში კი, მოგეხსენებათ, 50 კილოგრამი ოპერაციით დაიკლო.

პაატუნა ძედია

რუსეთი

პრემიერლიგა
XIII ტური
რუბინი 0:0 შინიკი

სპარტაკი ნ.	13	8	3	2	22:13	27
ცსკა	13	7	3	3	19:9	24
რუბინი	13	6	5	2	18:12	23
სპარტაკი მ.	13	5	7	1	25:16	22
ლოკომოტივი	13	6	4	3	25:17	22
კრილია	13	5	5	3	20:14	20
ტომი	13	5	4	4	13:13	19
ლუჩ-ენერგია	13	5	3	5	18:16	18
ზენიტი	13	4	6	3	16:16	18
მოსკვა	13	4	5	4	14:16	17
სატურნი	13	2	8	3	10:11	14
როსტოვი	13	3	4	6	16:20	13
ამკარი	13	2	5	6	8:20	11
დინამო	13	1	6	6	9:15	9
ტორპედო	13	1	6	6	9:18	9
შინიკი	13	1	4	8	6:22	7

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. II ტური
რიდი 0:1 ტიროლი

ზალცბურგი	2	2	0	0	5:0	6
პაშინგი	2	2	0	0	5:2	6
მატერსბურგი	2	2	0	0	3:0	6
ტიროლი	2	2	0	0	4:2	6
რაპიდი	2	1	0	1	4:2	3
გრაცერი	2	0	1	1	0:2	1
აუსტრია	2	0	1	1	0:2	1
ალტახი	2	0	0	2	2:5	0
შტურმი	2	0	0	2	3:7	0
რიდი	2	0	0	2	0:4	0

აშშ

MLS. გადადებული მატჩები
სოლტ ლეიკი 3:3 ჩივასი
კოლორადო 1:0 ჰიუსტონი

ჩილე

პრიმერადივიზიონი. II ტური
კოლო კოლო — ჰუაჩიპატო გადაიდო

Copa Toyota Libertadores '2006

ნახევარფინალი. პირველი მატჩი
გვადალახარა (მექსიკა) 0:1 სან პაულუ (ბრაზილია)

სვენი ვილას მიადგა

სვენ გორან ერიკსონი „ასტონ ვილას“ ყიდვას აპირებს

„ასტონ ვილას“ ფანები მოულოდნელობისგან პირდაღებულნი დარჩნენ წუხელ, როცა შეიტყვეს, რომ მათ კლუბს კიდევ ერთი მყიდველი გამოუჩნდა: კონსორციუმი, რომელსაც განთქმული აგენტი ათოლ სტილი ლიდერობს. ათოლ სტილი იმავდროულად სვენ გორან ერიკსონის აგენტიცაა და 6 თვის წინათ, როცა ერიკსონი „ცრუ შეიხს“ „ასტონ ვილას“ ყიდვას სთავაზობდა, სწორედაც რომ სტილის უკანადგომით.

საქმე ასე იჩარხებოდა, რომ სტილი თავმჯდომარე იქნებოდა, ერიკსონი კი მენეჯერი.

მაშინ შეიხი გადაცმული ჟურნალისტი გამოდგა და ერიკსონს ეს სკანდალი ძალიან ძვირად დაუჯდა, მაგრამ, როგორც ჩანს, წყვილს „ვილასთვის“ თვალი არ მოუშორებია.

აქამდე მთავარ მყიდველად ამერიკელი მილიარდერი რენდი ლერნერი ითვლებოდა, თუმცა დღეიდან ვაჭრობის ლიდერი ინგლისელი მაიკლ ნევილი და მისი კონსორციუმია, რომლებსაც 64 მილიონი გირვანქის გადახდა ძალუძთ და კლუბის განვითარების ძლიერი გეგმაც აქვთ.

ამერიკელსაც და ინგლისელსაც მენეჯერად მარტინ ონილი უნდათ.

ახლა, ყველაფერი „ვილას“ ძუნწი პატრონის, დუგ ელისის გადასაწყვეტია.

ირაკლი გამყრელიძე

ჯერმენ პენანტი

ჩხუბისთავეზი ენფილდზე

„ლივერპულმა“ 6,2 მილიონ გირვანქად ჯერმენ პენანტი იყიდა „ბირმინგემისგან“. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ორიოდ დღით ადრე რაფა ბენიტესმა კრეიგ ბელამი მოიყვანა „ბლექბერნიდან“, გაძოინდება, რომ „ენფილდზე“ თავზეხელაღებული ჯეილები იყრიან თავს.

ბელამის უმიზეზოდაც შეუძლია ჩხუბის ატეხვა, პენანტი კი შარშან მთვრალი მძღოლობისთვის იჯდა მთელ თვეს და 16-თვიანი ჯარიმაც ადევს. ის მინდორზეც ჩხუბისთავია.

ბელამის აშარ ხასიათს და პენანტის დაურიდებლობას ბენიტესი არ შეუჩერებია: მილიონები გადაიხადა ამ პრობლემათა მიუხედავად და ორი დიდებული ფეხბურთელი შეიძინა. „ლივერპულში“ ასევე მოვიდნენ ფაბიო აურელიო, გაბრიელ პალეტა და მარკ გონსალეხი. ჯამურად ყველაფერი 20 მილიონი გირვანქა დაჯდა.

რაფას, ფეიენორდელ დირკ კუიტზეც უჭირავს თვალი, თუმცა მისი ფასი 12 მილიონი გირვანქაა და ეგებ მერსისაიდელებმა ჯიმი ტრაორე და სალიფ დიაოც კი გაყიდონ.

ირაკლი გამყრელიძე

ლუისმა ლუისს ოთხი ჰლუსით დაუწერა

ეკვადორის ნაკრების მწვრთნელმა, კოლუმბიელმა ლუის სუარესმა კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. მისი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გასვლაა. შეგახსენებთ, რომ განვლილ მუნდიალზე ეკვადორელები მერვედფინალში გავიდნენ, სადაც ინგლისთან 0:1 დამარცხდნენ.

ლუის სუარესი ერთადერთი მწვრთნელია სამხრეთ ამერიკაში, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პოსტი შეინარჩუნა. 47 წლის კოლუმბიელმა ეკვადორი თანამემამულისგან, ერნან დარიო გომესისგან ჩაიბარა „კოპა ამერიკა“ 2004-ის შემდეგ. სუარესის თავკაცობით, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ეკვადორმა შინ ბრაზილია და არგენტინაც კი დაამარცხა და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა.

ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუის ჩირიბოგამ განაცხადა: „გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა არ უნდა შეცვალო. სიხარულით ვაცნობებ მთელ ქვეყანას, რომ ამ გუნდს მწვრთნელიანად შევინარჩუნებთ, რათა უფრო დიდ წარმატებას მივაღწიოთ“.

ლუის სუარესი 2007-ში „კოპა ამერიკაზე“ უთავკაცებს გუნდს, რომელიც ვენესუელაში გაიმართება, შემდეგ კი, ცხადია, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ნაკრებად მიჩნეულმა ეკვადორმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 2002-ში ითამაშა და ჯგუფიდან ვერ გავიდა.

ირაკლი ნინიძე

ერთადერთი ორიანი წავიდა

ერთადერთმა ამერიკელმა ფეხბურთელმა, რომელსაც ეროვნული ნაკრების მაისურით მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე გაუტანია გოლები, სანაკრებო კარიერა დაასრულა. ინგლისური „ფულემის“ 34 წლის ფორვარდი ბრაიან მაკბრაიდი აშშ-ს ღირსებას 13 წლის მანძილზე იცავდა. ნაკრებში 95 მატჩი ჩაატარა და 30 გოლი შეაგდო, რაც ამერიკის ისტორიაში მეორე მაჩვენებელია.

მაკბრაიდს სამ მუნდიალზე უთამაშია. 1998 წელს იგი ამერიკელთა ერთადერთი გოლის ავტორი იყო. 2002 წელს მექსიკისა და პორტუგალიის კარში გამარჯვების ბურთები გაიტანა. ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი იმით დაკმაყოფილდა, რომ იტალიელმა დანიელე დე როსიმ მას იდაყვი სახლიში და წარბი გაუხეთქა, რისთვისაც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

„ეს განსაკუთრებული დღეა ჩემთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო ნაკრებს ყველაფრისთვის, რაც მან ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის გააკეთა. ნაკრები ძალიან მომენატრება, მაგრამ წასვლის დროა“ — განაცხადა მაკბრაიდმა.

კოკი კანდელაკი

ხალხი ბოროსკენ

„მიდლსბროს“ ახალმა მენეჯერმა გარეტ საუთგეიტმა სამ ცნობილ ფეხბურთელს დაადგა თვალი. პირველი მათგანი, ხულიო არკა უკვე გადმოყვანილია „სანდერლენდიდან“ და კვირაში 22 ათასიანი ხელფასით „ბოროში“ ითამაშებს.

ახალი ბოსი „ჩელსიდან“ რობერტ ჰუთის ქირაობას და 4 მილიონად „მანჩესტერ სიტის“ კაპიტნის სილვიენ დისტინის შეძენას აპირებს.

ეს ორი ფეხბურთელი ალბათ აუცილებლად ითამაშებს „ბოროში“, თუმცა საუთგეიტს ბლექბერნელი ბრეტ ემერტონზეც თვალი უჭირავს.

„მიდლსბროს“ ადრევე უნდოდა ჰუთის ყიდვა და 5 მილიონ გირვანქასაც იხდიდა, მაგრამ მაშინ გერმანელმა მცველმა ტრავმა მიიღო და ტესტი ვერ გაიარა, არკას გადასვლა კი ძალიან სწყენია „სანდერლენდის“ თავმჯდომარე-მენეჯერ ნილ ქუინს, რომელიც ლიგაში დაქვეითებული კლუბის აღორძინებას აპირებს.

ირაკლი გამყრელიძე

რამონ, რაღაც გეშლება...

ემერსონი ანუ ერნესტო, იგივე ჰუმა

„ძალიან მიხარია, რომ ერნესტო ჩვენთან ითამაშებს, იგი შესანიშნავი ფეხბურთელია“ — თქვა მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა სამეფო გუნდის მეექვსე ბრაზილიელი ლეგიონერის ოფიციალურ წარდგენაზე. წამიერი ჰაუზის შემდეგ კი შეცდომა გამოასწორა: „არა, ერნესტო კი არა, ემერსონი...“

ოთხშაბათს ემერსონ ფერეირა და როსა ოფიციალურად გახდა მადრიდის „რეალის“ მოთამაშე. ექსიუვენტუსელი „ჰუმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თანამემამულეების, რობერტო კარლოსის, ბაპტისტას, რონალდოს, სისინიოსა და რობინიოს გვერდით მომავალი სამი სეზონის განმავლობაში დარჩება.

ბრაზილიელი ნახევარმცველის ტრანსფერს „რეალის“ თავკაც კალდერონს ფაბიო კაპელო სთხოვდა. ემერსონი კაპელოს საყვარელი მოწაფეა, „რომაშიც“ მისი ფავორიტი იყო და „იუვენტუსშიც“.

ემერსონს „რეალის“ თეთრი მაისურა ალფრედო დი სტეფანომ გადასცა (დაიღალა მოხუცი ეკიპირების ჩუქებით — კანავარო, ემერსონი, მერე ვან ნისტელროი...), თუმცა, ჯერ ცნობილი არაა „ჰუმა“ რა ნომრით ითამაშებს მადრიდში. როგორც ხედავთ, მაისურას მხოლოდ ბრაზილიელის გვარი აწერია. გუშინ კი ემერსონი ავსტრიულ ირდნინგში გაემგზავრა, რათა „რეალში“ ვარჯიში დაეწყო.

ოკეანისგაღმელი მოთამაშე 1976 წლის 4 აპრილს დაიბადა ბრაზილიურ პელოტასში. თავიდან მინიფეხბურთში იყო, 1992 წელს კი „გრემიოში“ წავიდა სათამაშოდ. 1997-ში ლევერკუზენის „ბაიერში“ გადავიდა, სადაც ნახევარდაცვაში „დააქვეითეს“ (იქამდე თავდამსხმელი იყო) და მოედანზე თავისებური სირბილის გამო „ჰუმად“ მონათლეს. ემერსონი 2000 წელს მივიდა კაპელოს „რომაში“ და მას შემდეგ დიდ იტალიელს არ მოსცილებია — ჯერ „რომა“, მერე „იუვენტუსი“ და ახლა „რეალი“...

„ბერნაბეუზე“ პრეზენტაციის შემდეგ ემერსონს ჟურნალისტები გაესაუბრნენ. ბრაზილიელს სჯერა, რომ „რეალში“ სამი იღბლიანი სეზონი ექნება და ბევრ ჯილდოსაც გამოჰკრავს ხელს.

— თქვენს კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო. რა სურვილები გაქვთ?

— ძალიან მინდა, ჯილდოები მოვიგო. „რეალი“ დიდი კლუბია და ტიტულები სჭირდება.

— კაპელოს უკვე ესაუბრეთ?

— მაესტრომ დილით დამირეკა ტელეფონზე და ხანმოკლე საუბარი გვქონდა. მკითხა, სამედიცინო შემოწმებამ როგორ ჩაიარაო. ვუპასუხე, შესანიშნავად-მეთქი.

— ანუ გუნდში რა პოზიციაზე ითამაშებთ, ამაზე ჯერ არ გილაპარაკიათ მწვრთნელთან...

— არა. გუნდის შესახებ ავსტრიაშიც ბევრი სალაპარაკო დრო გვექნება.

— კლოდ მაკელელეს წასვლის შემდეგ მადრიდის „რეალს“ ჩამშელელი არ ჰყოლია. თქვენ ახალი მაკელელე იქნებით?

— კლოდს ძალიან დიდ პატივს ვცემ. იგი თამაშს კითხულობს და თავის პოზიციაზე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. მე მაკელელესგან განსხვავებული სათამაშო სტილი მაქვს, მაგრამ თუ კაპელომ გადაწყვიტა, რომ ჩამშელელი უნდა ვიყო და მოწინააღმეგეს მეურვეობა გავუწიო, ამასაც გავაკეთებ. ჩემს გუნდებს ყოველთვის ვეხმარებოდი, როგორც შემეძლო.

— უკვე კარგა ხანია, რაც თქვენს სახელს მადრიდის „რეალს“ უკავშირებდნენ. მაინცდამაინც წლეულს რატომ გადაწყვიტეთ „ბერნაბეუზე“ მოსვლა?

— დიდი ხანია, მეც შეყვარებული ვარ „რეალზე“ და საბოლოოდ ოცნება ამისრულდა — „ბერნაბეუზე“ ვითამაშებ. ბედნიერი ვარ აქ ყოფნით და ვეცდები, ეს შანსი შესაბამისად გამოვიყენო.

— მადრიდში გადასვლის გადაწყვეტილება „იუვენტუსის“ სერია B-ში დაქვეითების გამო მიიღეთ?

— არა. თუმცა გუშინ [illegible] კარგად თქვა — „იუვენ[illegible]“ ამბავს არაფრით არ [illegible] საბედნიეროდ, „[illegible] ვნახეთ“...

— „ბერნაბეუზე“ კაკას მოსვლასაც ელოდებით?

— კაკა დიდი ფეხბურთელია, ერთ-ერთი იმათგანი, მსოფლიო ფეხბურთის თანამედროვე სახეს რომ აძლევენ. გამიხარდება, თუ ერთ კლუბში ვითამაშებთ.

— კარიერის გაგრძელებას რამდენ ხანს აპირებთ?

— რაც კონტრაქტით მაკავშირებს მადრიდის „რეალთან“ და ცოტა მეტიც. სანამ მოედანზე ვიქნები, „რეალისთვის“ თავს არ დავზოგავ.

— რონალდომ წვივზე ოპერაცია გაიკეთა. თქვენი აზრით, იგი დიდ ფეხბურთს წარმატებით დაუბრუნდება?

— იმედი მაქვს, ძველებურ რონის დავიბრუნებთ — მხიარულს და ბედნიერს. ნაკრებში როცა მასთან ერთად ვიყავი, სახიდან ღიმილი არ მოსცილებია. მას იუმორის დიდი ნიჭიც აქვს. ვიცი, რომ რონი მომავალი სეზონის დადგომას იმედით ელოდება.

— რობერტო კარლოსს რას ურჩევდით?

— რობერტო ჩემი დიდი მეგობარი და პარტნიორია. ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს „რეალში“ — გუნდს ის სჭირდება.

ზაგალო, პარეირა და დუნგა

ზაგალოც დასრულდა

ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა მარიო ზაგალო პენტაკამპეონთა კოორდინატორის თანამდებობიდან წავიდა. 74 წლის ზაგალომ ეს ამბავი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტ რიკარდუ ტეიშეირას ამცნო.

„ძნელია ბრაზილიის ნაკრები და ზაგალო ცალ-ცალკე წარმოიდგინო“ — განაცხადა ტეიშეირამ.

როგორც ფეხბურთელმა, ზაგალომ ჩემპიონის ტიტული 1958 და 1962 წლებში მოიგო, ხოლო 1970 წელს, როდესაც სელესაომ კიდევ ერთხელ მოიპოვა მსოფლიოს უძლიერესის ტიტული, ის უკვე მწვრთნელი გახლდათ. ზაგალო მწვრთნელად მუშაობდა 1974 წელსაც, ხოლო 1994-ში, როდესაც ბრაზილიელებმა კიდევ ერთხელ მოიგეს ჩემპიონობა, ის კარლოს ალბერტო პარეირას ასისტენტი გახლდათ.

1998 წელს, 24 წლიანი ჰაუზის შემდეგ, ზაგალო მთავარ მწვრთნელად ბრუნდება და გუნდი ფინალში გაჰყავს, ხოლო 2003 წელს კოორდინატორის რანგში იწყებს მუშაობას.

შარშან უხუცესმა მწვრთნელმა მუცლის ოპერაცია გაიკეთა და 10 კილო დაიკლო.

ამასობაში კი, როგორც იცით, ბრაზილიელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ, კარლოს დუნგა, რომელსაც სურს, რომ ფეხბურთელებმა მის მაგალითს მიბაძონ.

„მინდა ეროვნულ გუნდში ყველა ისეთივე ენინთა და აღტყინებით მოდიოდეს, როგორითაც თავის დროზე მოვდიოდი მე. ყველა ვინც ყვითელ მაისურას ჩაიცვამს, აუცილებლად ყოველი შეხვედრის მოგების სურვილით უნდა იყოს ანთებული. არ აქვს მნიშვნელობა რა შეჯიბრებაში მონაწილეობს იმწუთას ბრაზილია“ — აცხადებს დუნგა, რომელიც დღეიდან ოფიციალურად იწყებს (მოგვყავს ციტატა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის საიტიდან) 2010 და 2014 წლების მუნდიალისთვის მზადებას. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა საკუთრივ ბრაზილიელებს სურთ.

პაპუნა კედია

ჩვეულებრივი ბრაზილიური ამბავი: მწვრთნელმა ფეხბურთელს სცემა

ბრაზილია

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

ვასკუ და გამა 0:1 ფლამენგო (0:2)

„ფლამენგომ“ ბრაზილიის თასის ფინალის საპასუხო მატჩში 10-კაციანი „ვაკუ და გამა“ 1:0 დაამარცხა, ორი შეხვედრის ჯამში კი 3:0 იმარჯვა და თასს დაეპატრონა.

ერთი კვირის წინ, პირველ მატჩში, „ვასკუ და გამამ“ სტუმრად 0:2 წააგო, საპასუხოში კი, მე-17 წუთზე უხეშობისთვის, ფორვარდი ვალდირ პაპელი გაუძევეს. პაპელმა მესამე წუთზე მიიღო პირველი გაფრთხილება, მეორედ კი მსაჯმა აღარ აპატია და მოედნიდან მიაბრძანა.

მოედნიდან გასვლისას, გვერდით ხაზთან, „ვასკუს“ გაბრაზებულმა მწვრთნელმა პაპელს წაუთაქა და წააქცია. „ფეხბურთელს ასეთ მატჩში შანსს აძლევ, ის კი უმადურობით გპასუხობს და ფაქტობრივად, გღალატობს. ამას ვერ შევეგუები“ — ცხარობდა მწვრთნელი.

ბრაზილიური გუნდების თამაშს როგორც ეკადრება, აქაც ბევრი იყო უხეშობა და გაწევ-გამოწევა. ფეხბურთელები დაახლოებით 60-ჯერ დაჯარიმდნენ, გოლი კი პირველ ტაიმში მცველმა ჟუანმა გაიტანა.

ეს იყო „ფლამენგოს“ პირველი ჯილდო 1992 წლის შემდეგ, როცა ბრაზილიის ჩემპიონატი მოიგეს. ერთ-ერთი უპოპულარესი კლუბი ბოლოხანს დაჩაჩანაკდა ფინანსური პრობლემებისა და შიდასაკლუბო ინტრიგების გამო. ამ წლის განმავლობაში სამი მწვრთნელი გამოიცვალეს და ამჟამად გუნდს ნეი ფრანკო თავკაცობს.

ბრაზილიის თასის გათამაშება კი 1989 წლიდან დაიწყო და ყველაზე მეტჯერ „კრუზეიროს“ და „გრემიოს“ მოუგიათ.

გიორგი დარჯანია

ბრაზილიის თასის მფლობელები

1989 ---------- გრემიო	1998 -------- პალმეირასი
1990 ---------- ფლამენგო	1999 -------- ჟუვენტუდე
1991 ---------- კრისიუმა	2000 ---------- კრუზეირო
1992 -- ინტერნასიონალი	2001 ---------- გრემიო
1993 ---------- კრუზეირო	2002 ------- კორინთიანსი
1994 ---------- გრემიო	2003 ---------- კრუზეირო
1995 ------- კორინთიანსი	2004 ------- სანტო ანდრე
1996 ---------- კრუზეირო	2005 ---------- პაულისტა
1997 ---------- გრემიო	2006 ---------- ფლამენგო

სარგებელი 5 კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია						
		პრემიერლიგა						
		29 ივლისი						
15:30	1	სელტიკი-კილმარნოკი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
18:00	2	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	1.90	3.10	3.45	1.17	1.22	1.63
18:00	3	დანფერმლაინი-ჰართსი	4.50	3.80	1.50	2.06	1.12	1.07
18:00	4	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
18:00	5	ინვერნესი-სტ.მირენი	1.70	3.20	3.90	1.11	1.18	1.75
		30 ივლისი						
17:00	6	მიზერუელი-რეინჯერსი	6.50	3.60	1.35	2.31	1.11	1.00
		ავსტრია						
		ბუნდესლიგა						
		29 ივლისი						
21:30	8	აუსტრია-ზალცბურგი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
21:30	9	გრაცერი-პაშინგი	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
21:30	10	მატერსბურგი-შტურმი	1.85	3.20	3.65	1.17	1.22	1.70
21:30	11	რიდი-რაპიდი	2.45	3.00	2.60	1.34	1.26	1.39
		30 ივლისი						
21:30	12	ალტახი-ტიროლი	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42
		შვეიცარია						
		სუპერლიგა						
		29 ივლისი						
19:45	13	აარაუ-სიონი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:45	14	გრასჰოპერი-თუნი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:45	15	შაფჰაუზენი-ციურიხი	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
		30 ივლისი						
18:00	16	სტ.გალენი-ბაზელი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
18:00	17	იანგ ბოიზი-ლუცერნი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
		შვეიცარია						
		ჩელენჯლიგა						
		28 ივლისი						
21:45	19	კონკორდია-ლუგანო	2.05	3.15	3.20	1.24	1.24	1.58
21:45	23	სერვეტი-დელემონტი	1.70	3.30	3.90	1.12	1.18	1.78
21:45	26	ქსამაქსი-ბელინცონა	1.60	3.30	4.30	1.07	1.16	1.86
		29 ივლისი						
21:30	18	კიასო-იუვენტუსი	1.65	3.40	4.35	1.11	1.19	1.90
19:30	20	კრინსი-ევერდონი	2.35	3.15	2.50	1.34	1.21	1.39
20:00	22	ლოკარნო-შო დე ფონი	2.65	3.10	2.30	1.42	1.23	1.32
19:30	24	ვინტერთური-ბოლმი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
19:30	25	ვოლეი-ვილი	2.15	3.10	2.80	1.26	1.21	1.47
		30 ივლისი						
20:00	21	ლოზანა-ვადუცი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი						
		II დივიზიონი						
		28 ივლისი						
22:00	27	ისტრი-ბასტია	2.50	2.70	2.85	1.29	1.33	1.38
22:00	28	ლე ავრი-ამიენი	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
22:00	29	რეიმსი-ბრესტი	2.20	2.80	3.20	1.23	1.30	1.49
22:30	30	სტრასბური-დიუონი	1.75	3.00	4.50	1.10	1.25	1.79
22:00	31	აიაჩო-ნიორი	1.45	3.30	6.00	1.00	1.16	2.12
22:00	32	კაენი-ლიბოურნე	1.45	3.30	6.00	1.00	1.16	2.12
22:00	33	შატორუ-ტოურსი	1.80	2.80	4.10	1.09	1.25	1.66
22:00	34	კრეტეი-გენგამი	2.20	2.70	3.20	1.21	1.30	1.46
22:00	35	გრენობლი-მონპელიე	2.30	2.70	3.00	1.24	1.30	1.42
		29 ივლისი						
19:30	36	გენიონი-მეცი	2.85	2.70	2.45	1.38	1.31	1.28
		ბელგია. I დივიზიონი						
		28 ივლისი						
22:30	37	ბრიუგე-გენტი	1.45	3.60	5.50	1.03	1.14	2.17
		29 ივლისი						
22:00	38	შარლეროა-ლიერსი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
22:00	39	ბრიუსელი-მონსი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:00	40	გენკი-ვარეგემი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:00	41	ბეერსხოტი-ბეევერენი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:00	43	მუსკრონი-სერკლი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
		30 ივლისი						
20:00	42	ლოკერენი-სტანდარდი	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
22:30	44	სტ.ტრუიდენი-ანდერლეხტი	3.75	3.40	1.75	1.78	1.19	1.15
22:30	45	ვესტერლო-რუსელარე	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
		რუსეთი						
		29 ივლისი						
16:00	47	ამკარი-სპარტაკი	3.60	3.00	1.90	1.63	1.24	1.16
19:00	48	ტორპედო-ცსკა	7.50	4.00	1.30	2.60	1.10	1.00
		30 ივლისი						
18:00	49	დინამო-ზენიტი	2.55	2.65	2.65	1.29	1.29	1.32
18:00	50	კრილია-ენერგია	1.28	3.90	8.00	1.00	1.10	2.62
14:00	51	სატურნი-ლოკომოტივი	3.00	2.80	2.20	1.44	1.26	1.23
17:00	52	შინიკი-მოსკოვი	2.75	2.80	2.35	1.38	1.26	1.27
16:00	53	ტომსკი-რუბინი	2.30	2.85	2.90	1.27	1.28	1.43
		31 ივლისი						
19:00	54	როსტოვი-ნალჩიკი	2.40	2.80	2.70	1.29	1.27	1.37
		პოლონეთი						
		28 ივლისი						
22:00	55	ვიძევი-ვროცლიხი	2.25	2.90	2.75	1.26	1.23	1.41

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		29 ივლისი						
21:00	56	ვისლა-ბურნიკი	1.25	4.30	8.00	1.00	1.08	2.79
21:00	57	ლოძი-პოგონი	2.20	3.00	2.90	1.26	1.25	1.47
21:00	58	ლეჩნა-ბელჩატოვი	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
21:00	59	არკა-კორონა	2.40	3.00	2.60	1.33	1.24	1.39
22:00	60	ლეგია-კრაკოვია	1.30	3.80	6.50	1.00	1.08	2.39
		30 ივლისი						
20:00	61	ოდრა-ზაგლებე	2.55	3.00	2.55	1.37	1.27	1.37
21:00	62	ლეხი-პლოცკი	1.80	3.10	3.70	1.13	1.21	1.68
		ჩეხეთი						
		29 ივლისი						
19:00	63	სპარტა-კლადნო	1.25	5.10	8.00	1.00	1.08	3.11
21:00	64	ბოლესლავი-სიგმა	1.75	3.20	3.90	1.13	1.20	1.75
21:00	65	ზლინი-სლოვაცკო	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
		30 ივლისი						
19:00	66	პრეიბრამი-პლზენი	1.95	3.10	3.35	1.19	1.23	1.61
19:00	67	იაბლონეცი-მოსტი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	68	ტეპლიცე-ბრნო	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
22:15	69	ბუდეიოვიცე-ლიბერეცი	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
		31 ივლისი						
19:15	70	ბანიკი-სლავია	2.50	2.80	2.65	1.32	1.28	1.36
		სლოვაკეთი						
		29 ივლისი						
22:00	71	ბ.ბისტრიცა-ინტერი	1.57	3.30	4.50	1.06	1.16	1.90
22:00	72	კოშიცე-ნიტრა	1.73	3.20	3.70	1.12	1.17	1.71
22:00	73	რუჟომბეროკი-ტრენჩინი	1.30	4.30	6.70	1.00	1.08	2.61
22:00	74	სლოვანი-სინეცი	1.50	3.50	5.00	1.04	1.15	2.05
		30 ივლისი						
22:00	75	ჟილინა-ტრნავა	1.65	3.20	4.00	1.08	1.16	1.77
22:00	76	დუბნიცა-პეტრუალკა	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
		დანია. სუპერლიგა						
		29 ივლისი						
19:00	88	ოდენსე-ესბიერგი	1.78	3.30	3.60	1.15	1.19	1.72
		30 ივლისი						
17:00	89	ოლბორგი-ვეილე	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
17:00	90	ჰორსენსი-ვიბორგი	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
17:00	91	ნორდსიელანდი-სილკებორგი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
20:00	92	მიდტიულანდი-ბრიონდბიუ	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		29 ივლისი						
21:00	101	ოდ ერენლანდი-ვოლერენგა	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
		30 ივლისი						
20:00	102	სანდეფიორდი-სტაბეკი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
20:00	103	ტრომსიო-მოლდე	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
20:00	104	ვიკინგი-ჰამარი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
20:00	105	ბრანი-ფრედრიკსტადი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
22:00	106	რუსენბორგი-ლილესტრიომი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
		31 ივლისი						
21:00	107	ლინი-სტარტი	1.95	3.20	3.25	1.21	1.21	1.61
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		30 ივლისი						
20:00	108	ალესუნდი-ტრომსდალენი	1.20	5.80	12.00	1.00	1.09	3.91
20:00	109	ჰიოდი-სტრიომსგოდსეტი	5.00	3.80	1.50	2.15	1.15	1.07
20:00	110	ჰიონეფოსი-მანგლერუდი	1.40	4.20	6.50	1.04	1.15	2.45
20:00	111	ლოვ ჰამი-ბრინი	3.00	3.40	2.00	1.59	1.20	1.25
20:00	112	მოსი-კონგსვინგერი	1.60	3.60	5.20	1.10	1.22	2.12
20:00	113	სოგნდალი-პორს გრენლანდი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
20:00	114	სპარტა-ბოდიო გლიმტი	2.60	3.50	2.30	1.49	1.22	1.38
20:00	115	ფოლო-ჰაუგესუნდი	2.50	3.50	2.30	1.45	1.19	1.38
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		29 ივლისი						
18:00	118	იურგორდენი-იორგრიტე	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
		30 ივლისი						
19:00	119	გაის-ელფსბორგი	2.85	3.30	2.10	1.52	1.20	1.28
19:00	120	ჰამარბი-ჰეკენი	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
		31 ივლისი						
21:00	121	ჰელსინგბორგი-კალმარი	2.10	3.15	3.10	1.25	1.25	1.56
21:00	122	მალმიო-იოსტერსი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
21:00	123	ჰალმსტადი-ვეფლე	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
22:00	124	გიოტებორგი-აიკ	1.90	3.25	3.60	1.19	1.24	1.70
		შვედეთი						
		სუპერეტა						
		29 ივლისი						
18:00	127	იორებრო-ლანდსკრონა	1.85	3.50	3.75	1.21	1.23	1.81
		30 ივლისი						
19:00	129	ბრომაპოიკარნა-იონკოპინგი	1.70	3.60	4.40	1.15	1.22	1.98
		31 ივლისი						
21:00	128	ატვიდაბერგი-სუნდსვალი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
21:00	130	ფალკენბერგი-უმეა	1.55	3.70	5.10	1.09	1.18	2.14
21:00	132	ნორჩიოპინგი-ასირისკა	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
21:00	133	ქვიდინგი-ტრელებორგი	4.20	3.60	1.70	1.93	1.21	1.15
21:00	134	ვესბი-დეგერფორსი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
		ფინეთი						
		29 ივლისი						
17:00	136	კუოპიო-მიუპა	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13
		30 ივლისი						
19:30	137	ჰაკა-იარო	1.45	3.80	6.30	1.04	1.17	2.37
19:30	139	ვპს-ჰონკა	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
		31 ივლისი						
19:30	141	ჰიკი-კტპ	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
		ირლანდია						
		28 ივლისი						
23:00	146	შელბურნი-სლიგო	1.30	3.80	9.00	1.00	1.13	2.67
		29 ივლისი						
20:15	145	დუბლინი-ბოჰემიანი	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
		30 ივლისი						
22:00	143	დერი-უოტერფორდი	1.20	5.00	12.00	1.00	1.09	3.52
20:30	147	ლონეფორდი-დროგედა	2.80	3.10	2.25	1.47	1.24	1.30
		გერმანია						
		თასი						
		29 ივლისი						
17:30	334	ჰამბურგი-ჰერტა	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
20:15	335	შალკე-ლევერკუზენი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54

ფორმულა 1. 28 ივლისი. გერმანია

13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	60.00
13:00	1001	გამარჯვებული	სატო	50.00
13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	დე ლა როსა	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	12.00
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	12.00
13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	2.10
13:00	1001	გამარჯვებული	ჰეიდფელდი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	1.70
13:00	1001	გამარჯვებული	ვილნევი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	[illegible]
13:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	სპიდი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	20.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	სელტიკი-კილმარნოკი	1.40	2.80	11.00	1.00	1.24	2.23
10002	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	2.40	2.10	3.90	1.12	1.48	1.36
10003	დანფერმლაინი-ჰარტსი	6.00	2.20	1.90	1.60	1.44	1.01
10004	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.45	2.10	3.55	1.13	1.44	1.31
10005	ინვერნესი-სტ.მირენი	2.25	2.10	4.30	1.08	1.47	1.41
10006	მოსერუელი-რეინჯერსი	7.00	2.50	1.65	1.84	1.33	1.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11002	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.30	20.00	10.00	5.50
11003	დანფერმლაინი-ჰარტსი	7.50	10.00	20.00	8.00	4.40	3.50	20.00	10.00	2.25
11004	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.30	20.00	10.00	5.30
11005	ინვერნესი-სტ.მირენი	2.50	10.00	20.00	3.50	4.50	7.30	20.00	10.00	6.50
11006	მოსერუელი-რეინჯერსი	10.00	10.00	20.00	12.00	5.00	3.50	20.00	12.00	1.70

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	კი	არა
12001 სელტიკი-კილმარნოკი	2.20	1.50
12002 დანდი იუნ.-ფოლკირკი	1.70	1.90
12003 დანფერმლაინი-ჰარტსი	1.90	1.70
12004 ჰიბერნიანი-აბერდინი	1.90	1.70
12005 ინვერნესი-სტ.მირენი	1.90	1.70
12006 მოსერუელი-რეინჯერსი	2.00	1.55

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

	კი	არა
13001 სელტიკი-კილმარნოკი	1.90	1.60
13002 დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	1.70	1.90
13003 დანფერმლაინი-ჰარტსი	1.70	1.90
13004 ჰიბერნიანი-აბერდინი	1.70	1.90
13005 ინვერნესი-სტ.მირენი	1.70	1.90
13006 მოსერუელი-რეინჯერსი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

14001 სელტიკი-კილმარნოკი	1.05	2.80
14002 დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	1.65	2.10
14003 დანფერმლაინი-ჰარტსი	2.50	1.30
14004 ჰიბერნიანი-აბერდინი	1.65	2.10
14005 ინვერნესი-სტ.მირენი	1.55	2.30
14006 მოსერუელი-რეინჯერსი	2.45	1.18

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	სელტიკი-კილმარნოკი	3.00	2.80	2.00
15002	დანდი იუნ.-ფოლკირკი	3.00	2.80	2.00
15003	დანფერმლაინი-ჰარტსი	3.00	2.80	2.00
15004	ჰიბერნიანი-აბერდინი	3.00	2.80	2.00
15005	ინვერნესი-სტ.მირენი	3.00	2.80	2.00
15006	მოსერუელი-რეინჯერსი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001 სელტიკი-კილმარნოკი	1.03	6.00
16002 დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	1.40	2.50
16003 დანფერმლაინი-ჰარტსი	3.20	1.20
16004 ჰიბერნიანი-აბერდინი	1.40	2.45
16005 ინვერნესი-სტ.მირენი	1.30	2.80
16006 მოსერუელი-რეინჯერსი	4.50	1.15

გოლი: ლუწი-1 კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17001 სელტიკი-კილმარნოკი	1.85	1.95
17002 დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	1.85	1.95
17003 დანფერმლაინი-ჰარტსი	1.85	1.95
17004 ჰიბერნიანი-აბერდინი	1.85	1.95
17005 ინვერნესი-სტ.მირენი	1.85	1.95
17006 მოსერუელი-რეინჯერსი	1.85	1.95

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" [illegible]
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „[illegible]")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

ვახტანგ ნაცვლიშვილის ფსიქოლოგია
ჩემი კონკურენტი ჩემი გუნდია

ხუთწლიანი იძულებითი განშორების შემდეგ ვახტანგ ნაცვლიშვილი ნაკრებს უბრუნდება. ეს გახლავთ მოთამაშე, რომელიც ჩვენს ეროვნულ გუნდთან ასოცირდება. ვატო საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩის მონაწილე და პირველი, ისტორიული ქულების ავტორია. როცა ჯანი არ ღალატობდა, ნაცვლიშვილი ყოველთვის თამაშობდა მისთვის განკუთვნილ თავდამსხმელის პოზიციაზე და ქულებს ისე ბითუმად იხვეჭდა, ბომბარდირობას ვერავინ ეცილება. კარსმომდგარ ევროსაკვალიფიკაციოზე, ნაცვლიშვილი ალბათ გახდება ნაკრებში ჩატარებული მატჩების რეკორდსმენი. ჯერჯერობით რეკორდი რეზო ჩხეიძეს ეკუთვნის, რომელმაც ეროვნული გუნდის ღირსება 33 მატჩში დაიცვა.

ვატოს „ჩხიროზე" ერთით ნაკლები უთამაშია და 3 სექტემბერს, ლუქსემბურგთან, ალბათ, გაუთანაბრდება მას. ნაცვლიშვილი ნაკრებს, ცხადია, კაპიტნად უბრუნდება და გუნდს ქულებზე მეტად, ალბათ, თავისი ავტორიტეტით დაეხმარება... ვატოსთან საუბარი ცნობილი მიზეზების გამო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დავიწყეთ...

— კარგად ვარ, ცოტა ფეხი მაწუხებს, მაგრამ ეს არაფერია.

— ფეხი? აკი ფილტვის გამო გაგიცდა ლამის ორი სეზონი?!

— ფილტვის პრობლემა მორჩა. არავითარი პრობლემა აღარ მაქვს ამ მხრივ, ფეხი კი, ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის, რომ ქრონიკულად მაწუხებს.

— თამაშს ხომ შეძლებ?

— როგორ არა. ამაზე უარესად მტკიოდა და მაინც ვთამაშობდი როგორც ნაკრებში, ისე პორტუგალიის, საფრანგეთის, საქართველოს ჩემპიონატებში. რამდენიმე წელია, საოპერაციო მაქვს, მაგრამ არ ვიკეთებდი და არც გავიკეთებ. საკმარისად გადავიტანე ოპერაციები.

— ვარჯიშს შეუდექი?

— ფედერაციის წარმომადგენლებმა მითხრეს, გორდონ ჰერბერტმა შემოგითვალა, 5 აგვისტოს შეკრებისთვის ფორმაში იყავიო. ახლა არ ვვარჯიშობ, მაგრამ ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი, 5 აგვისტოსთვის სასურველ ფორმაში ვიქნები.

— ნაკრებში ბოლოს 2001 წელს ითამაშე. მას მერე ოპერაცია გადაიტანე და როგორ ფიქრობ, რა გელის ეროვნულ გუნდში. კონკურენცია არ გაფიქრებს?

— მე მყავს ერთი კონკურენტი: მეტოქე გუნდი. ჩემი კონკურენტები არიან ფინეთისა და ავსტრიის ნაკრებები.

— შიდაგუნდურ კონკურენციაზე გეკითხები...

— კარგად გაგიგე, რაც მკითხე და პასუხიც შესაბამისი გაგეცი. კონკურენციას არასოდეს შევუწუხებივარ, ყოველთვის ,ხუთეულში ვიყავი. ახლა ვიცი, რომ ისეთი ძლიერი მოთამაშე აღარ ვარ, როგორც 90-იან წლებში, მაგრამ ვფიქრობ, თამაშის პრობლემა არ უნდა შემექმნეს. ისე კი, ახლა გაცილებით დიდი კონკურენციაა ნაკრებში როგორც ჩემს, ასევე ნებისმიერ პოზიციაზე.

— რაკი კონკურენციაა, გამოდის, ახლა უფრო ძლიერი ნაკრები უნდა გვყავდეს...

— მთლად ეგრეც არაა საქმე. საერთოდ, ძველი და ახალი გუნდების შედარება არაა მართებული. ეს ნაკრები რომ ძველზე პერსპექტიულია, თქმა არ უნდა. მაშინ მხოლოდ მე ვიყავი ახალგაზრდა, ახლაც მხოლოდ მე ვარ — ოღონდაც, ხნიერი. ისე, მაშინ საქართველოს ჩემპიონატიდან შეკრებილი ნაკრებით საბერძნეთს, ისრაელს, თურქეთს ტოლ-სწორად ვეთამაშებოდით სპორტის სასახლეში. ახლა კი ნბა-სა და წამყვანი ევროპული გუნდების წარმომადგენლები გვყავს ნაკრებში და **B** დივიზიონში ვართ. გამოდის, ის ნაკრები უფრო ძლიერი იყო. არადა, ახლა უფრო დიდი ამბიცია გვაქვს.

— შესაძლებელი რომ იყოს, ძველი ნაკრების რომელი მოთამაშით გააძლიერებდი ამ ნაკრებს?

— უკანა ხაზში გვჭირდება ძლიერი მოთამაშე, თორემ წინ, ჩემი აზრით, პრობლემა არ გვაქვს. დუდუ დადიანს ვინატრებდი ამ ნაკრებში. ის მოედანზეც დაგვეხმარებოდა და მოედნის მიღმიდანაც. ავტორიტეტული მოთამაშე ყოველთვის საჭიროა გუნდში, ამას დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ძველ ნაკრებს დადიანი დიდად ეხმარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანი არ იყო. მისი ღირსება-თვისებების გათვალისწინებით, ვთვლი, რომ აუცილებლად იმსახურებდა კაპიტნობას.

— ამ ნაკრებისთვის ასეთი ავტორიტეტიანი კაპიტანი შენ იქნები...

— ვფიქრობ, გარკვეული ავტორიტეტი მაქვს, რაღაცა ღირებული გამიკეთებია ამ ნაკრებისთვის და კვლავ გუნდში რომ ვიქნები, ბიჭებს იმედი ექნებათ. ვიცი, რომ ისევ ისეთი წარმატებული ვერ ვიქნები მოედანზე. ყოველ მატჩში 20 ქულას ალბათ ვეღარ გავაკეთებ, მაგრამ ჩემი გამოცდილებით ნაკრებს აუცილებლად გამოვადგები.

— ჩანს, ფსიქოლოგიურ მომენტს სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებ...

— რა თქმა უნდა. ფსიქოლოგიური ასპექტებით განპირობებული არ იყო ახალგაზრდული ნაკრების ეს გამარჯვება?! გუნდს მოსამზადებელ ტურნირში არ უთამაშია, შემადგენლობაც არ ჰყავდას სათანადოდ დაბალანსებული და **B** დივიზიონის ჩემპიონი გახდა. ჩვენმა ნაკრებმა უნდა გაითავისოს, რომ მეტოქეს საკუთარი სიძლიერით ამარცხებს და არა მისი სისუსტის გამო.

— მოახერხებთ A დივიზიონში ანაცვლებას?

— ჩემი აზრით, უნდა მოვახერხოთ. ფინეთია ჩვენი მთავარი კონკურენტი, ავსტრიას, ალბათ, იოლად მოვუგებთ.

ირაკლი პერტაია

ლინანი უილიამსის ნაცვლად?
ფედერაციამ ნაკრები გამოფინა

5 აგვისტოს ეროვნული ნაკრები ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის იწყებს მზადებას. ქართველების ერთადერთი მიზანი B-დან A დივიზიონში ანაცვლებაა და თუ ამ საქმის სანახევროდ მოგვარება სურთ, ჩვენებმა სექტემბრის მატჩებში უნდა იყოჩაღონ

ჯონ ლინანი

შემოდგომის პირველი თვე ევროსაკვალიფიკაციის პირველ წრეს უმასპინძლებს. ქართველები ლუქსემბურგს, ირლანდიას, ფინეთსა და ავსტრიას დაეჭიდებიან. ამ ნაკრებებთან საბრძოლველად საქართველოს მხარემ უკვე შეარჩია ხალხი — გუშინ კალათბურთის ფედერაციიდან აი, ამ მოთამაშეთა სია მივიღეთ:

გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, მანუჩარ მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა, დავით საყვარელიძე, შიო ხეცურიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე , ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი, ვატო ნაცვლიშვილი, ზაზა ფარულია, დავით უგრეხელიძე, გიორგი შერმადინი.

როგორც ხედავთ, შემონდ უილიამსი არაა გამოძახებული. არაა კი არა, არ ჩამოდის და რა გინდა, რომ ქნა. ამერიკელმა გამთამაშებელმა ქართული პასპორტი იმიტომ აიღო, ყაზანის „უნიკსში" არაამერიკელად მისულიყო და მსუყე კონტრაქტი დაეთრია, თორემ საქართველოს ნაკრების ბედი რომ არ აღელვებდა, ეს ყველამ კარგად დაინახა.

როგორც ჩანს, უილიამსმა საბოლოოდ თქვა უარი ჩვენს ნაკრებზე — „ბარსელონაში" რომ იყო, მაშინ ვერ ჩამოვიყვანეთ დროულად ფინეთთან სათამაშოდ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გადამილახავს ის ქართველებისთვის წყნარ ოკეანეს?!

საქართველოს კალათბურთის ფედერაციისთვის შემონდის უარი მოულოდნელი არ ყოფილა. კარგა ხანია ამბობდნენ, უილიამსი ორჭოფობს და ჩვენც მისი შემცვლელის ძიება დავიწყეთო. ეს დიდი ხნის ამბავია, ახლა კი ნაკრების შეკრება კარს მოგვადგა და გამოძახებულებში არც შემონდ უილიამსია და არც მისი მითიური შემცვლელი. მითიური იმიტომ, რომ ფედერაციის წარმომადგენლები არასგზით არ ახმაურებდნენ უილიამსის შესაძლო შემცვლელის ვინაობას. ახლაც ასევე ამბობენ, მოლაპარაკება მიმდინარეობს და დიდი შანსია, საქართველოს ნაკრებში ისევ ამერიკელმა გაათამაშოს ბურთიო.

ვინაა ეს გასაიდუმლოებული ამერიკელი? როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, კალათბურთის ფედერაციას ერთი კანდიდატი შემორჩა: ფრანგული „სტრასბურის" ამერიკელი გამთამაშებელი ჯონ ლინანი.

ლინანი 1978 წელს ამერიკის ქალაქ ჩესტერში დაიბადა და 2005 წლამდე სამშობლოში, სტუდენტურსა და სხვა, ნბა-ს დაბლა მდგომ ლიგებში თამაშობდა. მან 2001 წელს დაამთავრა პროვიდენსის კოლეჯი, მაგრამ დრაფტზე ვერ მოხვდა და ამერიკის ლიგებში ბურთაობის შემდეგ ბებერ კონტინენტს მიაშურა.

ჯონ ლინანი ჯერ პარიზში, გორდონ ჰერბერტის „რასინგში" თამაშობდა, თუმც შუა სეზონში „სტრასბურს" მიაშურა — უწელფასო დედაქალაქელებმა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვერ შეინარჩუნეს.

ლინანი სიმაღლეში მხოლოდ 175 სანტიმეტრია, თუმც ბურთის მახვილგონივრულად გათამაშებაში ეს როდი უშლის ხელს. მან საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში გასულ სეზონში 41 მატჩი ჩაატარა. მოედანზე საშუალოდ 28 წუთს ატარებდა და 13 ქულასთან ერთად 4 პასსაც იხვეჭდა.

ჯონ ლინანი საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი იყო გასულ სეზონში. ეჭვი არაა, მისი კანდიდატურა გორდონ ჰერბერტმა შესთავაზა ქართველებს. რა გამოვა ლინანის საქმიდან, სულ მალე შევიტყობთ — ისე კი, თამაშის წინა დღეს ნაკრებში ჩამოსულ შემონდ უილიამსს თავდასხმა შეკრებაზე მყოფი ჯონ ლინანი რომ სჯობს, ამაზე ალბათ არავინ შემოგვედავება.

მხოლოდ ნატურალიზაციის საკითხი არაა გასარკვევი ჩვენს ნაკრებში: დღემდე არავინ იცის, ვინ იქნება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. კანდიდატი პრესა წერს, ჯეი ტრაიანო გაუძღვება ქართველებსო. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ამის თაობაზე ჯერ არაფერი იციან — ან იციან და არ ამბობენ.

ირაკლი პერტაია

წყალბურთი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ორადეა. რუმინეთი. 22-30 ივლისი

ნავსი ბრიტანელებზე გატყდა

საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და ნიდერლანდების ნაკრებებმა რუმინეთის ქალაქ ორადეაში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდა წყალბურთელთა ჩემპიონატში გუშინდლამდე გამართული ყველა შეხვედრა წააგეს. გუშინ ამ გუნდებისთვის მეტ-ნაკლებად რაღაც უნდა შეცვლილიყო, რადგან სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: ქართველები ბრიტანელებს შეხვდნენ, ჰოლანდიელები — პოლონელებს.

ჩვენმა წყალბურთელებმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და გაიმარჯვეს 10:7. თუმცა მეოთხე პერიოდის დასაწყისამდე მეტად დაძაბული და საინტერესო ბრძოლა იყო. ამ დროს საერთო ანგარიში თანაბარი (7:7) იყო და მანამდეც ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. შეხვედრის პირველი პერიოდი ფრედ — 1:1 დასრულდა. მეორე ქართველებმა მინიმალური სხვაობით — 3:2 მოიგეს, მესამე კი ასეთივე სხვაობით დათმეს — 3:4. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენმა ბიჭებმა ბრიტანელთა წინააღმდეგობა გატეხეს და მეოთხე პერიოდში სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს.

კიდევ ორი ხელმოცარულის, ჰოლანდიისა და პოლონეთის ნაკრებების შეხვედრა 9:5 დამთავრდა. მეორე ეშელონის კიდევ ოთხი გუნდის შეხვედრებში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: სლოვენია — რუმინეთი 9:12, იტალია — რუსეთი 8:7.

ავთანდილ ჭყვიშელი

ჭიდაობა

ჩინურ კედლამდე ქართული მთაა

თბილისური ტურნირის მოლევის შემდეგ მოჭიდავეები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისს შეუდგნენ. ბერძნულ-რომაული სტილის ნაკრები მეორე კვირაა, სომხეთში, ლახკაძორში გადის შეკრებას. თავისუფლები ხვალ ბაკურიანში მიემგზავრებიან. სეზონის უმთავრესი შეჯიბრი კი სექტემბრის ბოლოს ჩინეთში გაიმართება

— პირველი შეკრებაა და ტრადიციულად, ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთებთ აქცენტს — გვითხრა გუშინ ნაკრების თავკაცმა ზაზა *თურმანიძემ.*

— რამდენი მოჭიდავე მიგყავთ?

— როგორც ყოველთვის, ახლაც გაფართოებული შემადგენლობით დავიწყებთ. ნაკრების ყველა კანდიდატი წამოვა.

— ბაკურიანის გარდა მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენ შეკრებას გეგმავთ?

— ამ ორკვირიანი შეკრების დასრულებისთანავე თბილისში დავბრუნდებით. მერე კი დაახლოებით ათ დღეში უკვე სრულყოფილ ბორჯომულ ორკვირიან ვარჯიშებსაც გავემგზავრებით. დასკვნით შეკრებასაც ბორჯომში გავივლით სექტემბერში.

— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ტურნირზე ჭიდაობას აღარ აპირებთ?

— ამის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. ნაკრების წევრებმა და კანდიდატებმა წლეულს უკვე საკმაო სატურნირო გამოცდილება მიიღეს. დარჩენილ დროში მხოლოდ ინდივიდუალურად ივარჯიშებენ, რათა სექტემბრის ბოლოსთვის ოპტიმალურ ფორმას მიაღწიონ.

— საჩინეთო შემადგენლობას როდის დაასახელებთ?

— ბოლო შეკრებაზე. საკონტროლო შეხვედრებს ჩავატარებთ და შემდეგ ამის შემდეგ დავაზუსტებთ.

— ბალავაძის ტურნირი ტრავმის გამო ნაკრების რამდენიმე წევრმა გამოტოვა. ახლა როგორ არიან?

— ზუსტად ვერ გეტყვით, ვის რა აწუხებს. ერთი კი ვიცი, სერიოზული ტრავმა არავის აქვს და შეკრებაზეც ყველა მოდის.

— ჩინეთში როდის გაემგზავრებით?

— ჩემპიონატი სექტემბრის ბოლო რიცხვებშია. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის წავალთ. თუ მოხერხდება, 7-8 დღით ადრე ჩასვლა გვინდა. აკლიმატიზაციასაც გავივლიდით და მცირე ტურნირისწინა შეკრებასაც მოვიწყობდით.

ოთარ მაღლაკელიძე

სროლა

სალუქვაძე მედალს მიუახლოვდა

ხორვატიულ ზაგრებში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ ქალებმა სპორტული პისტოლეტიდან ისროლეს. 25-მეტრიან დისტანციაზე ტურნირს შერჩენილი ერთადერთი ქართველთა ნინო სალუქვაძეც დადგა და რიგიანადაც ისროლა — 294 ქულა დააგროვა, რაც ჩინელ ფენგჟი ფეისთან ერთად, მეორე შედეგია. პირველ ადგილზე გასულმა ჩინელმა იუნგ ჩენმა კი ერთი ქულით მეტი გააკეთა.

რვა საუკეთესო მედლებს დღეს საღამოს გაითამაშებს.

ცურვა

ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო

ბალატონში გერმანული კრეისერი შეცურდა

უნგრეთში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში. სანამ ბუდაპეშტის კოხტა აუზში კლასიკური მოცურავეები გადაეშებოდნენ, ღია წყლის თავზეხელაღებული დელფინები ბალატონის ტბას მიაღგაფუნებდნენ და ჩემპიონატის მეორე დღეს მედლების კიდევ ორი კომპლექტი გაათამაშეს. ქალებმა 10 კილომეტრს შეუტიეს მძლავრი მკლაურით, კაცებმა კი გუშინ 5 კილომეტრი გაილიეს.

კაცებში ისევ გერმანელმა ტომას ლიუცმა იმარჯვა, ვინც დისტანცია 56 წუთსა და 0,1 წამში გაილია. უკვე ორგზის ჩემპიონ გერმანელს წამით ჩამორჩა... ასევე გერმანელი კრისტინ ჰეინი, ხოლო 1,7 წამით იტალიელი სიმონე ესკოლი.

ქალთა 10 კილომეტრზე პოდიუმი შეადგინეს გერმანელმა ანგელა მაურერმა (2სთ, 7წთ, 10,8წმ), უნგრელმა რიტა კოვაჩმა (+3,5 წმ) და ჩეხმა იანა პეჩანოვამ (+4,8 წმ).

ველორბოლა

დოპინგ-შოკი

მარკამ ხელი ლენდისისკენ გაიშვირა

გუშინწინ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) გაავრცელა ცნობა, რომ ახლახანს დასრულებული „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთმა მონაწილემ დოპინგ-ტესტი ჩააგდო. არც ველოსიპედისტის ვინაობა და არც დოპინგ-ტესტის ჩაბარების თარიღი ამ ცნობაში არ იყო — მხოლოდ იმას იტყობინებოდნენ, რომ ეს იყო პირველი დოპინგ-ტესტი და ბრალეულობის დასამტკიცებლად განმეორებითი ანალიზი იყო საჭირო.

UCI-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავად მრბოლიც, მისი გუნდიცა და ქვეყნის ფედერაციაც ინფორმირებულები არიან მომხდარის შესახებ, ხოლო UCI-ს პრეზიდენტმა პატ მაკვეიდმა ბრძანა, რომ „თუ მეორე ანალიზი დაადასტურებს დოპინგის არსებობას, ეს ამბავი მისთვის შოკი იქნება“.

სწორედ მაკვეიდის სიტყვები გახდა დანიური გაზეთის „ეკსტრა ბლადეტისა“ და ესპანური „მარკას“ ეჭვების მიზეზი — ამათი ყოვლისმცოდნე ჟურნალისტების აზრით, მავანი უილბლო ველოსიპედისტი სხვა არავინაა, თუ არა ამერიკელი ფლოიდ ლენდისი — რიგით 93-ე „ტურ დე ფრანსის“ ტრიუმფატორი და ველოსპორტის ახალი მეფე.

ფლოიდ ლენდისზე ისეთი ეჭვი გაჩნდა...

დანიური და ესპანური გაზეთების ეჭვი იმან გააჩინა, რომ ლენდისი მოეხსნა დანიის ქალაქ სილკებორგის დიდი პრიზის გათამაშებიდან და ამას მაკვეიდის შოკისმომგვრელი სიტყვებით დაემატა.

ჟურნალისტები დოპინგ-ტესტის ჩაბარების დროსაც ვარაუდობენ — მე-17 ეტაპის შემდეგ, როდესაც ლენდისმა ალპებში ფანტასტიკური გაქცევა განახორციელა და ფაქტობრივად, გადაწყვიტა რბოლის ბედი.

ფეხბურთი

უეფას თასი 2006-2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ტობოლი (ყაზახეთი) 0:0 ბაზელი (შვეიცარია) (1:3)
კაირატი (ყაზახეთი) 2:1 ვიდეოტონი (უნგრეთი) (0:1)
სკონტო (ლატვია) 3:0 ჟენესი (ლუქსემბურგი) (2:0)
ტირანა (ალბანეთი) 2:0 ვარტექსი (ხორვატია) (1:1)
ყარაბახი (აზერბაიჯანი) 1:2დ.დ.(1:1) ზიმბრუ (მოლდოვა) (1:1)
სუდუვა (ლიტვა) 2:1 რილი (უელსი) (0:0)
დინამო (ბელარუსი) 0:0 ზაგლებე (პოლონეთი) (1:1)
ფლორა (ესტონეთი) 0:0 ლინი (ნორვეგია) (1:1)
ჰაკა (ფინეთი) 1:0 ლევადია (ესტონეთი) (2:2)
რეინჯერსი (ანდორა) 0:2 სარაევო (ბოსნია) (0:3)
სლიმა უონდერერსი (მალტა) 0:1 რაპიდი (რუმინეთი) (0:5)
ნისტრუ (მოლდოვა) 0:1 ბატე (ბელარუსი) (0:2)
ეტცელა (ლუქსემბურგი) 0:3 ატვიდაბერგი (შვედეთი) (0:4)
ტრნავა (სლოვაკეთი) 0:1 ძარვანი (აზერბაიჯანი) (0:1)
ცსკა (ბულგარეთი) 4:1 დინამო (ალბანეთი) (1:0)
გი გოტუ (ფარერები) 0:2 ვენტსპილსი (ლატვია) (1:2)
სტარტი (ნორვეგია) 3:0 შკალა (ფარერები) (1:0)
კაუნასი (ლიტვა) 1:0 პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) (3:1)
ომონია (კვიპროსი) 2:1 რიეკა (ხორვატია) (2:2)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) 0:1 უიპეშტი (უნგრეთი) (4:0)
იანგ ბოისი (შვეიცარია) 1:0 მიკა (სომხეთი) (3:1)
მაკედონია (მაკედონია) 1:1 ლოკომოტივი (ბულგარეთი) (0:2)
ბრანი (ნორვეგია) 1:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) (1:0)
ლიტექსი (ბულგარეთი) 5:0 კოპერი (სლოვენია) (1:0)
რუზელარე (ბელგია) 5:1 ვარდარი (მაკედონია) (2:1)
აკრანესი (ისლანდია) 2:1 რანდერსი (დანია) (0:1)
დინამო (რუმინეთი) 5:1 ჰიბერნიანსი (მალტა) (4:0)
დომჟალე (სლოვენია) 5:0 ორაშიე (ბოსნია) (2:0)
ლანელი (უელსი) 0:0 გეფლე (შვედეთი) (2:1)
დერი სიტი (ირლანდია) 1:0 გიოტებორგი (შვედეთი) (1:0)
დროჰედა (ირლანდია) 3:1დ.დ.(1:1) ჰიკ (ფინეთი) (1:1)
მურატა (სან მარინო) 0:4 აპოელი (კვიპროსი) (1:3)
ვალიური (ისლანდია) 0:0 ბრონდბიუ (დანია) (1:3)

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIII ტური

ტამპერე 3:1 ინტერი

შვედეთი

თასის მერვედფინალი

ჰელსინგბორგი 3:0 დეგერფორსი

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. XII ტური

ბრეიდაბლიკი 1:0 ვიკინგური

ამხანაგური მატჩები

უტრეხტი (ჰოლანდია) 1:1 უიგანი (ინგლისი)
ნაპოლი (იტალია) 3:3 ჰანოვერი (გერმანია)
ბრედა (ჰოლანდია) 2:1 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ბენფიკა (პორტუგალია) 0:3 სპორტინგი (პორტუგალია)



კოჯი მუროფუში

ჰკა მაგას!

ფინურმა დანამ შინ ვერ გაჭრა

მშვენიერი ჩრდილოური ზაფხულის დღე, უქარო, მზიანი ამინდი, 23-25 გრადუსი სითბოთი. 12 ათასი მაყურებელი და მეგობრული ატმოსფერო, როცა სხვა არაფერზე ფიქრობ საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენისა და გულში დაგროვილი დადებითი ემოციების დაუნანებლად დახარჯვის გარდა. ჰელსინკის გრან პრიზე არ ყოფილა ვარსკვლავთცვენა, მძლეოსნობის დიდრონ მნათობთა დიდი ნაწილი იქვე, ბოტნიის ყურის გაღმა, შვედურ სტკოჰოლმში ჩაფირნდა, თუმც არც ფინეთი დარჩა მსოფლიო გაქანების სპორტსმენთა გარეშე და ტურნირიც გვარიანი გამოვიდა.

ჰელსინკში მოიყარეს თავი კაც ბირთვის მკვრელთა, უროს მტყორცნელთა და ასევე ქალ შუბის მტყორცნელთა ელიტარულმა ბატალიონებმა. უროს ტყორცნაში ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, იაპონელმა კოჯი მუროფუშიმ ყველა მძლავრი მოცილის, მათ შორის სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონ შიმონ ჟოლკოვსკის ურო აიტანა და სადღეისოდ უძლიერესი მტყორცნელის რეპუტაცია წარმატებით დაიცვა. იაპონელმა სასროლი რამდენჯერმე გადააცილა 80-მეტრიან გროსმაისტერულ ზღვარს და საუკეთესო ცდაზე 81,77 მეტრი დააფიქსირა, რითაც 35 სანტიმეტრით გადაამეტა მძლავრი პოლონელის საუკეთესო ნატყორცნს.

იმედგაცრუებას ვერ მალავდა ჟოლკოვსკი, ამავდროულად მას არც მეტოქის აღიარება დავიწყებია — „ჩემი შედეგით კმაყოფილი არ ვარ. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ კოჯი დღეს ჩემზე უკეთესი იყო.“

კოჯი მუროფუში კი კმაყოფილობდა — „ეს გაცილებით უკეთესი ტურნირი იყო, ვიდრე წინა პარასკევს იივასკილაში ჩატარებული ფინეთის ჩემპიონატი, რომელზეც მე სტუმრის სტატუსით ვიყავი მიწვეული. ვგრძნობდი, რომ გულშემატკივრები 100 პროცენტით მე მქომაგობდნენ და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. შიმონი ძლიერი მტყორცნელია და გეტებორგის ევროპის ჩემპიონატზე ფავორიტი იქნება, ამდენად ძალიან მოხარული ვარ, ტრავმის შემდეგ ფორმაში რომ შევედი და მისი დამარცხება შევძელი.“

საინტერესო და კარგი შედეგებით დახუნძლული გამოვიდა კაც ბირთვის მკვრელთა შეჯიბრი. აქ ისეთი ჯახი გააჩაღეს ამერიკელმა მკვრელებმა, თითქოს შინ, შტატების პირველობაზე ყოფილიყვნენ და იქაური ლამაზმანების გულისმოსაგებად არაფერი დაეშურებინათ. ერთბაშად სამმა იანკიმ გადააცილა ბირთვი 21-მეტრიან ნიშნულს და პირველად ეს კრისტიან კანტველმა შეძლო, როცა პირველივე ცდაზე 21,13 მეტრზე ჰკრა ბირთვი, მაგრამ შემდეგ ცდებზე ეს შედეგი ველარაფრით გააუმჯობესა. მას ჯერ დან ტეილორმა გაასწრო, ვინაც 21,36 მეტრი აჩვენა, მერე კი რეზა ჰოფამ ბირთვი 21,59 სანტიმეტრზე მოისროლა და გამარჯვებაც ამ უკანასკნელს დარჩა.

ფინელები გვარიანად აჟრიამულდნენ, სასროლ წრეში მათი ახალგაზრდა თანამემამულე მიკა კასარა რომ დადგა. მიკამ 20,18 მეტრზე გაისროლა ბირთვი და მხოლოდ მეექვსე ადგილი იკმარა, თუმც ის ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და მკლავებში ეტყობა, მალე თავისას ჰკრავს.

ქალთა შუბის ტყორნცაში ფინელებს იმედები ვერ გაუმართლა კირსი აჰონენმა, მიუხედავად იმისა, რომ სუომელმა ქალბატონმა პირადი რეკორდი დაამყარა შუბის 60,68 მეტრზე ტყორცნით. აჰონენი მეხუთე იყო და გამარჯვებულ ჩეხ ბარბორა სპოტაკოკასთან (ზუსტად 66 მეტრი) ახლოსაც ვერ მივიდა.

კოტე ყორშია

კიმი მეოთხეს შემიზნებს

კაცები
კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 646 250 €

მეორე წრე

ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) 6:3 6:3; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:1 3:6 6:2; მაქს მირნი (10, ბელორუსია) — ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია) 6:2 6:4; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:3 6:3; გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — ხუან მონაკო (არგენტინა) (უარი); რაინერ ერცინგერი (ავსტრია) — აგუსტინ კალერი (9, არგენტინა) 7:6 6:3; ნიკოლას მასუ (8, ჩილე) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 3:6 7:5 7:6; ხუან-იგნასიო ჩელა (7, არგენტინა) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:7 6:3 6:3; იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:3 1:6 6:4; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ტომი რობრედო (2, ესპანეთი) 6:2 7:5

კაცები
უმაგი. ხორვატია. თიხნარი
საპრიზო 340 250 €

მეორე წრე

ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 5:7 6:4 6:2; ფილიპო ვოლანდრი (8, იტალია) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 4:6 7:6 7:6; ხუან მარტინ დელ პორტო (არგენტინა) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 2:6 6:4 6:3; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 6:4 2:6 6:4

კაცები
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 500 000 $

პირველი წრე

ენდი როდიკი (1, აშშ) — რიკ დე ვოესტი (სამხრეთ აფრიკა) 6:4 6:4

მეორე წრე

ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4 6:2; ანდრე აგასი (2, აშშ) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:7 6:2 6:1; ტომი ჰაასი (6, გერმანია) — პოლ კაპდევილია (ჩილე) 6:3 4:6 6:1

ქალები
სტენფორდი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 600 000 $

მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 5:7 6:2 6:2; სამანტა სტოსური (ავსტრალია) — შაჰარ პირი (7, ისრაელი) 7:5 6:3; ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — აი სუგიამა (6, იაპონია) 6:2 6:3; ჯილ კრეიბასი (აშშ) — შენეი პერი (აშშ) 6:3 3:6 7:6

ქალები
ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი
საპრიზო 145 000 $

მეორე წრე

ანა სმაშნოვა (8, ისრაელი) — ლაურა პოუს ტიო (ესპანეთი) 6:2 6:0; მარტინა მიულერი (გერმანია) — მარტინა სუხა (7, სლოვაკეთი) 6:3 6:0; სარა ერანი (იტალია) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:1 6:4; მიქაელა კრაიჩეკი (2, ჰოლანდია)-ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 7:5 6:7 6:1

კიმ კლაისტერსი

მარატ საფინს ქვეყნების, სათამაშო საფარისა და თვით კონტინენტების შეცვლამაც არ უშველა. ფერნანდო გონსალესი რუსს სადაც შეხვდა, ყველგან მოუგო. ჩილელმა სამ თვეში სამი მარცხი აგემა საფინს და თანაც სხვადასხვა საფარზე — ჯერ მაისში მოუგო „როლან გაროსზე (თიხნარი), შემდეგ ივნისში უიმბლდონზე (ბალახი) და აგერ, ახლა ლოს ანჯელესის ჰარდზე.

ჰოდა, ვის უკვირს, რომ საფინს, უკვე ელეთ-მელეთი მოსდის გონსალესის სახელის გაგონებაზე. არადა, რუსს წლევანდლამდე ჩილელისთვის ორიდან ორ შეხვედრაში მოეგო, მაგრამ... მოკლედ, გონსალესი ღამის კოშმარად ექცა გიგანტ სლავს.

სამაგიეროდ, მეოთხედფინალს უწია ადრეულ ეტაპებზე წაგების კიდევ ერთმა „მოყვარულმა“ ტომი ჰაასმა. მართალია, გერმანელს დიდი წვალება დასჭირდა მეორე ჩილელ კაპდევილიასთან შეხვედრაში, მაგრამ მთავარი ხომ გამარჯვებაა და თუ როგორ, ეს უკვე ნაკლებად აღელვებს ჰაასს.

მეორე წრე დაძლია ანდრე აგასიმაც, თუმც გეორგ ბასტლმა საკმაოდ დიდხანს იომა და ვეტერანს პირველი სეტის მოგებაც გაუბედა. ეგრე არ უნდაო და ამერიკელმა მომდევნო ორ პარტიაში ნამდვილი მასტერ-კლასი აჩვენა ახალგაზრდა შვეიცარიელს და მხოლოდ სამი გეიმი აალებინა.

ენდი როდიკი კი გრაფიკს ოდნავ ჩამორჩება და ჯერ მხოლოდ პირველი წრის შეხვედრა ჩაატარა. ეს ამერიკელის პირველი წარმატებაა მას შემდეგ, რაც მწვრთნელად ლეგენდარული თანამემამულე ჯიმი კონორსი აიყვანა — ენდი-ბოის ამით უნდა, ბოლო მოუღოს წლევანდელ წარუმატებელ სერიას.

ფავორიტებს კი ამჯერად კიცბიუელში დაერივნენ — პირველი ნომერი ნიკოლაი დავიდენკოს სეხნია ლაპენტიმ მოუგო. ამ რუსს წლეულს სტაბილურობა აშკარად მოაკლდა და ამიტომაცაა, რომ ხშირად საწყის წრეებში აგებს ხოლმე.

სხვა მხრივ კი ავსტრიაში მასპინძლები ირჯებიან რიგიანად — ჯერ იყო და თითქმის უცნობმა რაინერ ერცინგერმა მოუგო მეცხრე ნომერ აგუსტინ კალერის, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ დავიდენკოს კვალს ტურნირის მეორე ნომერი ტომი რობრედოც გააყოლეს, რისი შესრულებაც თავის თავზე კიდევ ერთმა მასპინძელმა, იურგენ მელცერმა აიღო.

ხორვატიულ უმაგში კი ფავორიტები ადრეულად დაიფრინეს და ამიტომაც იქ შედარებით სიმშვიდემ დაისადგურა.

სტენფორდში წარმატებით დაიწყო კიმ კლაისტერსმა. ბელგიელს ცოტა ნერვიულობა მოუწია და პირველი სეტიც წააგო, მაგრამ შემდეგ დროულად მოახერხა თავისი თამაშის პოვნა და მეოთხედფინალში გავიდა. კლაისტერსს სტენფორდის სამგზის ტრიუმფატორია და ახლა პოკერის შესრულებას ეცდება.

„ბოლოს ბალახზე ვითამაშე, მერე დარბაზში ფედერაციის თასის ნახევარფინალში და ამიტომ აქაურ ჰარდთან შეგუება ცოტა გამიჭირდა. თუმც მეორე სეტიდან ყველაფერი რიგზე იყო“ — თქვა ნამატჩევს ბელგიელმა.

კახა ლომაშვილი

ჩახნაშვილმა მოგებით დაიწყო

იტალიური მონტენორი დარბიას თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე წარმატებული სტარტი აიღო ჩვენი ქალთა ჩოგბურთის პირველმა ნომერმა მაკა ჩახნაშვილმა. 25 ათასიანი შეჯიბრის პირველ წრეში მაკას საკმაოდ უხერხული მეტოქე ჰყავდა 23 წლის სერბის ანა ტიმოტიჩის სახით. ტიმოტიჩი WTA-ს რეიტინგში ჩახნაშვილზე ოდნავ ქვევით, 249-ე საფეხურზეა და პირველ სეტში სერბმა ქართველს ტაი-ბრეიკზე მოუგო. ამის შემდეგ კი სრული უპირატესობა ჩახნაშვილის მხარეს იყო და ჩვენებურმა მეტოქე 6:7 6:1 6:1 დაამარცხა.

მეორე წრეში მაკას მეტოქე მარინა ერკოვიჩი იქნება, 18 წლისა და კლასიფიკაციაში 282-ე ადგილზე მყოფი ახალზელანდიელი, რომელმაც პირველ წრეში ხორვატი ნიკი ოჟეგოვიჩი ორ სეტში — 6:4 7:5 დაჯაბნა.

გია მუჯირი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუზალაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: [illegible]
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00